



ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ- ქალაქ თბილისის N102 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ირმა ხუციშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)
წევრები:

1. ნინო ფაილოძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
2. ირინა გოგონაია (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
3. ნინო გულმაგარაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
4. ინგა გელაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
5. ეკა ბარნაბიშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
6. მაკა აფრიაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
7. ელისო ვადაქარია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
8. ხათუნა გერგაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
9. გიორგი კოპლატაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
10. ვერა სომხიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).



ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ქალაქ თბილისის N102 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	204873459

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი თბილისი
იურიდიული მისამართი	ნუცუბიძის ფერდობი მე-4 მკ/რ, ლეო და ნოდარ გაბუნიაძის ქ.27
ფაქტობრივი მისამართი	ნუცუბიძის ფერდობი მე-4 მკ/რ, ლეო და ნოდარ გაბუნიაძის ქ.27
საფოსტო ინდექსი	0186
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	Skolebi.emis.ge 102
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Tbilisi102@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	591415190
დაწესებულების ხელმძღვანელის ტელეფონის ნომერი	591415190

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	2024 წლის 13 აგვისტოს MES 3 24 0000968892 ბრძანების საფუძველზე
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2024 წლის 09 და 10 სექტემბერი.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ



„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	თბილისი, ნუცუბიძის ფერდობი მე-4 მკრ, ლეო და ნოდარ გაბუნიების ქ.27
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	თბილისი, ნუცუბიძის ფერდობი მე-4 მკრ, ლეო და ნოდარ გაბუნიების ქ.27



3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლე ბლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	თბილისი, ნუცუბიძის ფერდობი მე-4 მკრ, ლეო და ნოდარ გაბუნიების ქ.27
---	---	--	-------------	--

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები. 2024 წლის 09 და 10 სექტემბერს სსიპ- ქალაქ თბილისის N102 საჯარო სკოლაში ადგილზე ვიზიტი განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ, თავმჯდომარე ირმა ხუციშვილი, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი ნინო ფაილოძე.

ვიზიტის პერიოდში ონაღინ შეხვედრები განხორციელდა საგნობრივი ექსპერტების მიერ შემდეგი შემადგენლობით:

1. ნინო ფაილოძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
2. ირინა გოგონაია (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
3. ნინო გულმაგარაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
4. ინგა გელაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
5. ეკა ბარნაბიშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
6. მაკა აფრიაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
7. ელისო ვადაქარია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
8. ხათუნა გერგაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
9. გიორგი კოპლატაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
10. ვერა სომხიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).



სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი შეიკრიბა და გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, დანართებად წარმოდგენილ საჭირო მასალებს. განხილვის შემდეგ, ექსპერტებმა გამოვითხოვეთ დამატებითი დოკუმენტაცია, შევთანხმეთ ვიზიტის დღის წესრიგი და გადაეგზავნა სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის სტანდარტებს, მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა, მათ შორის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია. ექსპერტების მიერ განხორციელდა სკოლის ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობების დადგენა. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები გაესაუბრნენ, როგორც სკოლის დირექციის წარმომადგენლებს, ასევე ადმინისტრაციულ პერსონალს. საგნობრივი ექსპერტების შეხვედრა სკოლის პედაგოგებთან განხორციელდა ონლაინ.

დაწყებითი საფეხურის ექსპერტის მიერ განხორციელდა ვიზიტის დაგეგმვამდე დოკუმენტაციის შესწავლა I-VI კლასებში საგნების მიხედვით (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება). ის მონაწილეობდა ავტორიზაციის ჯგუფის შეხვედრებში, სადაც კოლეგა ექსპერტებთან ერთად განხორციელდა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვა და დამუშავება. ის მონაწილეობდა საგნობრივ ექსპერტებთან (სახელმწიფო ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება და საზოგადოებრივი მეცნიერებები) ერთად კათედრებთან დაგეგმილ შეხვედრებზე.

დაწყებითი საფეხურის ექსპერტის მიერ გაიცა რჩევები და გამოთხოვილ იქნა დამატებითი დოკუმენტაცია, რომელიც სკოლის მიერ მოწოდებული იქნა ვიზიტის დასრულებამდე.

ვიზიტის დასრულებისას ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.



წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი



სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება



	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 1500	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - სრულ შესაბამისობაშია
 ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - მეტწილ შესაბამისობაშია
 ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - მეტწილ შესაბამისობაშია



IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი



სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	ხარვეზი

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	ხარვეზი
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	ხარვეზი



V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	.
ინდიკატორი N 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას	სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში(01.09.2026წ) წარმოადგინოს შენობა- ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე დასკვნა.



I გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ინდიკატორი N 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას	სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (01.07.25) საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის უწყებასთან.
ინდიკატორი 3.5.1.4.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (01.09.2026წ) უზრუნველყოს შენობის ადაპტირებული გარემოს მოწყობა.
ინდიკატორი N 3.6.1.1	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას	სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (01.09.2025წ) უზრუნველყოს სკოლაში ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გამართვა.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია



--	--	--

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი დაფეხური)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....	-----	-----

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N 2.2.2.3	სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით	ბუნებისმეტყველება სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (31.10.2024 - 01.09.2025) უზრუნველყოს ქიმიის კაბინეტში დამონტაჟდეს გამწოვი კარადა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მოსწავლეთა უფრო სრულყოფილ დაცვას ცდის/ექსპერიმენტის შედეგად გამოყოფილი ნივთიერებების ზემოქმედებისგან. სკოლას ეძლევა რეკომენდაცია არსებული რეაქტივები მოწესრიგებულად განათავსონ კარადებში (და არა ყუთებში),ამასთან აღნიშნული კარადა უნდა იკეტებოდეს.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
-----------------	---	--



ინდიკატორი N 2.2.2.3	სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით	<u>ბუნებისმეტყველება</u> სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (31.10.2024 - 01.09.2025) უზრუნველყოს ქიმიის კაბინეტში დამონტაჟდეს გამწოვი კარადა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მოსწავლეთა უფრო სრულყოფილ დაცვას ცდის/ექსპერიმენტის შედეგად გამოყოფილი ნივთიერებების ზემოქმედებისგან. სკოლას ეძლევა რეკომენდაცია არსებული რეაქტივები მოწესრიგებულად განათავსონ კარადებში (და არა ყუთებში),ამასთან აღნიშნული კარადა უნდა იკეტებოდეს.
---------------------------------	--	--

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
-------------------------	---	--------------



ინდიკატორი 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სასურველია სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.
3.5.1.3.	სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას.	სასურველია სკოლას ჰქონდეს ბიბლიოთეკაში საინვენტარო ჩანაწერების წიგნი და ელექტრონული კატალოგი.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	რჩევა



ინდიკატორი N. 2.1.2.1.	საგნობრივი კურიკულუმი წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს	<u>ბუნებისმეტყველება</u> ✓ <u>სასურველია:</u> დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩოში, რესურსების კომპონენტში სახელმძღვანელოსა და ელექტრონულ რესურსებთან ერთად მიეთითოს სკოლის სასწავლო პრაქტიკაში შესაძლებელი და აპრობირებული (იხ. მტკიცებულება, მასწავლებლის ანგარიში - ბუნება, II კლასი, მინი-ლაბორატორიის შექმნის შესახებ) <u>რეალური ლაბორატორიული სამუშაოების/ სადემონსტრაციო ცდების რესურსები</u> (მასალები, მოწყობილობები, ექსპერიმენტის მეთოდური ბარათები), მაგალითისათვის, II კლასში, თემის „ჰაერი როგორც გარემო“ ფარგლებში, მასწავლებელმა შეიძლება შესთავაზოს მოსწავლეებს მარტივად განსახორციელებელი ცდები და შეიტანოს კურიკულუმში შესაბამისი რესურსები: ცდა 1. „მე ვგრძნობ ჰაერს“, რესურსი - მარაო; ცდა 2. „რისი სუნი აქვს ჰაერს?“ რესურსი - ლიმონი, ფორთოხალი, სუნამო; და სხვ. ✓ <u>სასურველია, რომ</u> დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩოში, სატიტულო ნაწილში დასახელდეს ძირითადი რესურსი - გრიფინიჭებული სახელმძღვანელო, <u>დასახელებისას დაცულ იქნას ერთიანი მიდგომა</u> (სრული რეკვიზიტების - დასახელების, ავტორების, გამომცემლობის, წლის მითითებით).
------------------------	--	--



		<u>ესთეტიკა</u> ✓ სასურველია ,ყურადღება მიექცეს თემატური ბლოკების შეტანისას,რამდენად შეესაბამება მოცემულ საფეხურს.მაგალითად,ხელოვნების მეოთხე კლასის კურიკულუმში შეტანილი თემატური ბლოკი საზოგადოება და ხელოვნება ,რომელიცსაბაზო საფეხურზე მუშავდება.მეხუთე კლასის ხელოვნების კურიკულუმში გამოტოვებულია კომპლექსური დავალებები,არ ჩანს,როგორ მუშავდება სამიზნე ცნებები. <u>სახელმწიფო ენა</u> ✓ სასურველია კურიკულუმის/ების თავფურცელზე მიეთითოს სასწავლო პროცესში გამოყენებული ძირითადი რესურსის დასახელება(მაგ.სახელმძღვანელოს დასახელება, ავტორი, გამომცემლობა).
--	--	---



ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	<u>ესტეტიკა</u> ✓ სასურველია გადაიხედოს კომპლექსურ დავალებათა საერთო რაოდენობა წლის განმავლობაში დაწყებით საფეხურზე საგან მუსიკაში, რადგანაც კომპლექსურ დავალებას წინ უძღვის დროში საკმაოდ ხანგრძლივად გაწერილი აქტივობები, რომელთა დამუშავება საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს.
ინდიკატორი 2.1.2.3	ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული ან შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით	<u>ბუნებისმეტყველება</u> ✓ სასურველია, რომ დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩოში, სატიტულო ნაწილში დასახელდეს ძირითადი რესურსი - გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო და <u>დასახელებისას დაცულ იქნას ერთიანი მიდგომა</u> (სრული რეკვიზიტების - დასახელების, ავტორების, გამომცემლობის, წლის მითითებით); <u>სახელმწიფო ენა</u> ✓ სასურველია მე-6 კლასის კურიკულუმში, გრაფაში სასწავლო რესურსები, გვერდებთან ერთად მიეთითოს ყველა ის მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელსაც მასწავლებლები იყენებენ სასწავლო პროცესში. <u>მათემატიკა</u> ✓ სასურველია, რომ მე-5 და მე-6 კლასების სასწავლო რესურსების გრაფაში სასკოლო სახელმძღვანელოს გარდა აისახოს დამატებითი რესურსები, რომელსაც იყენებენ სასწავლო პროცესში



ინდიკატორი 2.1.2.4	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები	<u>სახელმწიფო ენა</u> სასურველია თუ საგნობრივ კურიკულუმებში მკაფიოდ გამოიკვეთება დიფერენცირებული სწავლების მიდგომები.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	<u>უცხო ენა</u> ✓ სასურველია , განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმები მეტად მკვეთრად იყოს შესაბამისობაში საგნობრივ სტანდარტში მოცემული შედეგების მიღწევის ინდიკატორებთან რაც ნათელს გახდის სასწავლო მიზნებისა და მიღწეული შედეგების ურთიერთმიმართებას. <u>ესთეტიკა</u> ✓ სასურველია შეფასების რუბრიკები საგან მუსიკაში ზუსტად იყოს მორგებული თემატური ბლოკის ან კომპლექსური დავალების ფარგლებში დამუშავებულ ცნებებსა და ქვეცნებებს. <u>სახელმწიფო ენა</u> ✓ სასურველია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შექმნან საკითხსა და ქვესაკითხებზე დაყრდნობით, დეტალურად, კონკრეტულად აღწერონ, რას შეიძლება ელოდონ მოსწავლისგან,რათა მან შეძლოს საკუთარი სწავლის პროცესის გაუმჯობესება .რუბრიკის შედგენისას იხელმძღვანელონ დაწყებითი საფეხურის სტანდარტში მითითებული ინდიკატორებით_შეარჩიონ სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებისთვის ყველაზე ადეკვატური ერთი ან რამდენიმე ინდიკატორი და დააკონკრეტო დავალების პირობის გათვალისწინებით.



ინდიკატორი 2.2.2.1	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სასწავლო რესურსი	<u>ბუნებისმეტყველება</u> ✓ სასურველია, ბუნებისმეტყველების საგნობრივი კურიკულუმით/თემატური მატრიცებით (კლასების მიხედვით) წარმოდგენილი დამხმარე რესურსების ჩამონათვალს - ტელესკოლის გაკვეთილები, ანიმაციები, სხვა ინტერნეტ-რესურსები, <u>დაემატოს რეალური ცდებისა და ექსპერიმენტების რესურსები</u>; თუნდაც ყოფა- ცხოვრებაში გამოყენებული მასალები (მარილი, შაქარი, ზეთი, ცარცი, წყალი და სხვ.) და მოწყობილობები (ჩაიდან, ჭიქა, ქილა, კოვზი); კურიკულუმში აღნიშნული რესურსების დაფიქსირება ხელს შეუწყობს რეალური ცდების სისტემატურ გამოყენებას ბუნებისმეტყველების სასწავლო პროცესში, კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. ✓ სასურველია, რომ კურიკულუმის ჩარჩოში რესურსების კომპონენტში მოცემულ ელექტრონულ რესურსებს წვდომის ლინკთან ერთად მიეთითოს დასახელებაც. მაგალითისათვის, მე-3 კლასის კურიკულუმში მოცემულია მხოლოდ ელ.რესურსის ლინკი („ბრმა ლინკი“). https://www.facebook.com/watch/?v=1044914312532916&ref=sharing, <i>თუმცა, არ არის მითითებული სათაური - „მცენარის ზრდა - განვითარება“; სათაურის მითითება ნათელს ხდის/ აზუსტებს, რომელი საკითხის განხილვისას გეგმავს მასწავლებელი აღნიშნული რესურსის გამოყენებას.</i>
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	რჩევა



ინდიკატორი N. 2.1.2.1.	საგნობრივი კურიკულუმი წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს	<u>ბუნებისმეტყველება</u> ✓ <u>სასურველია:</u> სამივე საგნის - ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია - კურიკულუმის ჩარჩოში, სატიტულო ნაწილში დასახელდეს ძირითადი რესურსი - <u>გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო, დასახელებისას დაცულ იქნას ერთიანი მიდგომა</u> (სრული რეკვიზიტების - დასახელების, ავტორების, გამომცემლობის, წლის მითითებით); ფიზიკის VII კლასის კურიკულუმში მიეთითოს ძირითადი რესურსი-გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო; ✓ <u>სასურველია:</u> სამივე საგნის - ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია - კურიკულუმის ჩარჩოში, რესურსების კომპონენტში მიეთითოს სკოლის სასწავლო პრაქტიკაში აპრობირებული <u>რეალური ლაბორატორიული სამუშაოების/ სადემონსტრაციო ცდების რესურსები</u> (მასალები, მოწყობილობები, ექსპერიმენტის მეთოდური ზარათები).
------------------------	--	--



		<u>საზოგადოებრივი</u> ✓ სასურველია სასწავლო თემების ჩამონათვალი იყოს საგნობრივ სტანდარტან შესაბამისობაში (ისტორია, კლ. 9 კლ. 3 თემა არ არის წარმოდგენილი) <u>ესთეტიკა</u> ✓ ხელოვნების მეშვიდე და მერვე კლასის კურიკულუმებში არ არის გამოყოფილი თემატური ბლოკები, არ ჩანს პროცესი, თუ როგორ მუშავდება სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. სასურველია ეს იყოს დაფიქსირებული. <u>სახელმწიფო ენა</u> ✓ სასურველია თავფურცელზე მიეთითოს სასწავლო პროცესში გამოყენებული ძირითადი რესურსის დასახელება (მაგ. სახელმძღვანელოს დასახელება, ავტორი, გამომცემლობა).
ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა	<u>ესთეტიკა</u> ✓ მერვე და მეცხრე კლასების მუსიკის კურიკულუმში მოცემულ კომპლექსურ დავალებათა საერთო რაოდენობა არ ითვალისწინებს ჯამურ საათობრივ



	უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	დატვირთვას, შეტანილია კომპლექსური დავალებები თითქმის ყველა საკითხის გარშემო, რისი შესრულებაც ფიზიკურად შეუძლებელია საათობრივი დატვირთვიდან გამომდინარე. სასურველია შერჩეულ იქნას კომპლექსურ დავალებათა ოპტიმალური რაოდენობა.
ინდიკატორი 2.1.2.3	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული მატერიალური რესურსი (ტიპი, რაოდენობა) უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას	<u>ბუნებისმეტყველება</u> ✓ სასურველია, საბუნებისმეტყველო საგნების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) თეორიულ-ექსპერიმენტული ბუნებიდან გამომდინარე, <u>რეალური ცდებისა და ექსპერიმენტების რესურსების სისტემური და სისტემატური გამოყენება და შესაბამისად, დაფიქსირება</u> საგნობრივ (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) კურიკულუმებში; ყველა საგნის - ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია - წარმოდგენილ კურიკულუმებში რესურსები სტანდარტულად მოიცავს ძირითადი რესურსის სახით გრიფინიჭებულ სახელმძღვანელოს, როგორც წესი, შესაბამისი გვერდების მითითებით, ასევე, მითითებულია მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსები - ტელესკოლის გაკვეთილები, CK-12 საგანმანათლებლო პლატფორმა, ვირტუალური ლაბორატორიები, phet.colorado, სხვა ინტერნეტ-რესურსები, უმეტეს შემთხვევაში ლინკების (წვდომის) ჩვენებით და <u>სათაურის მითითებით: თუმცა, მხოლოდ ბიოლოგიის საგნობრივ კურიკულუმებში (VII, VIII კლასები) ფიქსირდება რეალური ცდებისა და ექსპერიმენტების რესურსები; მაგალითისათვის: ბიოლოგია, VII კლასი, თემა „მიკროორგანიზმები“, რესურსებში</u>



		სახელმძღვანელოსა და ელექტრონული რესურსების გარდა, ფიქსირდება: მიკროსკოპები, მუდმივი პრეპარატების ანაწყოები; ბიოლოგია, VIII კლასი, თემა „ნივთიერებების მიმოცვლა და ტრანსპორტი“ - ცდისთვის საჭირო რესურსები: საკვები საღებავი, ან მეთილენის ლურჯი; კვერცხის ცილის 1%-იანი ხსნარი, თხელი პოლიეთილენის პარკი, ქიმიური ჭიქები, და სხვ.
--	--	--



ინდიკატორი 2.1.2.4	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები	<u>სახელმწიფო ენა</u> ✓ სასურველია თუ საგნობრივ კურიკულუმებში მკაფიოდ გამოიკვეთება დიფერენცირებული სწავლების მიდგომები. <u>მათემატიკა</u> ✓ სასურველია , საფეხურის სასწავლო კურიკულუმებში კარგად აისახოს სწავლების დიფერენცირებული მიდგომები
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u> ✓ სასურველია , განმსაზღვრელი შეფასების სისტემა დაეყრდნოს ეროვნული სასწავლო გეგმას (ისტორია 3 ქულიანი შეფასებაა) <u>უცხო ენა</u> ✓ სასურველია , განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმები მეტად მკვეთრად იყოს შესაბამისობაში საგნობრივ სტანდარტში მოცემული შედეგების მიღწევის ინდიკატორებთან რაც ნათელს გახდის სასწავლო მიზნებისა და მიღწეული შედეგების ურთიერთმიმართებას.



		<u>ესთეტიკა</u> ✓ სასურველია შეფასების რუბრიკები საგან მუსიკაში ზუსტად იყოს მორგებული თემატური ბლოკის ან კომპლექსური დავალების ფარგლებში დამუშავებულ ცნებებსა და ქვეცნებებს. <u>სახელმწიფო ენა</u> ✓ განმსაზღვრელი/განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შესაქმნელად გამოიყენონ საგნობრივ სტანდარტში მოცემული შედეგების მიღწევის ინდიკატორები დავალების პირობის გათვალისწინებით; ინდიკატორები დააკონკრეტონ საკითხთან და ქვესაკითხთან მიმართებით;
ინდიკატორი 2.2.2.1	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სასწავლო რესურსი	<u>ბუნებისმეტყველება</u> ✓ <u>სასურველია</u>, მეტი ყურადღება დაეთმოს სამივე საგანში, განსაკუთრებით კი, ფიზიკასა და ქიმიაში, ლაბორატორიული მოწყობილობების და მასალების/ქიმიური რეაქტივების, ფიზიკური ხელსაწყოების შეძენა-შეცვლას რეალური სადემონსტრაციო - სასწავლო ცდებისა და ექსპერიმენტებისათვის; ასევე, არსებული რეაქტივების <u>მოწესრიგებულ განთავსებას</u> კარადებში (და არა ყუთებში); სასურველია, რომ ქიმიური რეაქტივები ორგანიზებული იყოს შენახვის ჯგუფების მიხედვით/კლასების მიხედვით (მარტივი ნივთიერებები - ლითონები და არალითონები; არაორგანული ნივთიერებები ნაერთთა კლასები - ოქსიდები, მჟავები, ტუტეები/ფუძეები, მარილები; ორგანული ნივთიერებები); დამზადებულ ხსნარებს ჰქონდეთ ეტიკეტები;



		✓ სასურველია, ფიზიკის მოწყობილობებს შენახვის ადგილების, სასწავლო /ექსპერიმენტული ამოცანების მიხედვით გაუკეთდეს შესაბამისი წარწერები (მექანიკური, სითბური, ოპტიკური მოვლენების, ელექტრობის შესასწავლად და სხვ.); ✓ სასურველია, ბიოლოგიის სკოლაში არსებულ ისეთ რესურსებს, როგორიცაა ორგანოთა მულაჟები, ჰერბარიუმები, სხვადასხვა კოლექციები, <u>შენახვის ადგილების და /ან სასწავლო /ექსპერიმენტული ამოცანების მიხედვით</u> გაუკეთდეს შესაბამისი წარწერები; ✓ სასურველია, მომზადდეს საგნების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) და კლასების მიხედვით რეალური ექსპერიმენტების კართოთეკა (ზარათზე: ცდის/ლაბ.სამუშაოს დასახელება, მასალები/რეაქტივები, მოწყობილობები, სამუშაოს პროტოკოლი/მსვლელობა), რაც ხელს შეუწყობს სკოლის პირობებში რეალური ცდების/ ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარებას (ამისთვის სკოლაში საკმაოდ კარგი საწყისი ინფრასტრუქტურული პირობებია: ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის ცალკე კაბინეტების არსებობა, ქიმიის და ბიოლოგიის კაბინეტებთან საპრეპარატოროები, კაბინეტებში შეყვანილია წყალი (ნიჟარები), გამართული ელექტროგაყვანილობა).
--	--	---



სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი N. 2.1.2.1.	საგნობრივი კურიკულუმი წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს	<u>ბუნებისმეტყველება</u> ✓ <u>სასურველია: საშუალო საფეხურზე საგნების - ქიმია, ფიზიკა - კურიკულუმის ჩარჩოში, რესურსების კომპონენტში მიეთითოს სკოლის სასწავლო პრაქტიკაში განხორციელებადი, საკითხის რელევანტური <u>რეალური ლაბორატორიული სამუშაოების/ სადემონსტრაციო ცდების</u> რესურსები (მასალები, მოწყობილობები, ექსპერიმენტის მეთოდური ბარათები).</u> ✓ <u>სასურველია: სამივე საგნის - ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია - კურიკულუმის ჩარჩოში, სატიტულო ნაწილში დასახელდეს ძირითადი რესურსი - გრიფინიჭებული სახელმძღვანელო; დასახელებისას დაცულ იქნას ერთიანი მიდგომა (სრული რეკვიზიტების - დასახელების, ავტორების, გამომცემლობის, წლის მითითებით);</u>



		<u>ესთეტიკა</u> ✓ სასურველია პროექტის შეფასების რუბრიკები მჭიდროდ იყოს დაკავშირებული პროექტის მიზნებთან და ამოცანებთან, იყოს უფრო კონკრეტული. <u>სახელმწიფო ენა</u> ✓ სასურველია კურიკულუმის/ების თავფურცელზე მიეთითოს სასწავლო პროცესში გამოყენებული ძირითადი რესურსის დასახელება (მაგ. სახელმძღვანელოს დასახელება, ავტორი, გამომცემლობა), სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, რომლებიც მუშავდება სწავლა-სწავლების პროცესში.
--	--	--



		<u>მათემატიკა</u> ✓ სასურველია , საგნობრივ კურიკულუმში (მე-11 კლასში) დაზუსტდეს ზოგიერთი თემა და ქვესაკითხი ესგ-ს სტანდარტის შესაბამისი სავალდებულო თემების/საკითხების/ქვესაკითხები შესაბამისად. ✓ სასურველია , საგნობრივ კურიკულუმში შესაბამი სვეტში აისახოს ან/და დაერთოს ერთი შემოქმედებითი პროდუქტი მაინც, (პროექტის ან კომპლექსური დავალების სახით) რომ უკეთ განისაზღვროს შუალედური მიზნები
ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u> ✓ სასურველია კურიკულუმში ყველა თემა იყოს მოცემული. 10 კლასის გეოგრაფიის კურიკულუმში, მეორე თემა არ არის წარმოდგენილი ✓ სასურველია წარმოდგენილი იყოს, ყველა საგანში ერთი დოკუმენტი (პროექტი, მატრიცა ან სხვა) მაინც, რომელიც გვიჩვენებს შუალედური მიზნის მიღწევის განხორციელების გზას (ისტორია, მოქალაქეობა). <u>მათემატიკა</u> ✓ სასურველია , მე-10 კლასის კურიკულუმში განისაზღვროს თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა



ინდიკატორი 2.1.2.3	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული მატერიალური რესურსი (ტიპი, რაოდენობა) უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას	<u>ბუნებისმეტყველება</u> ✓ სასურველია, სამივე საგნის (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) საშუალო საფეხურის კურიკულუმით წარმოდგენილი მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსების ჩამონათვალს - ტელესკოლის გაკვეთილები, CK-12 საგანმანათლებლო პლატფორმა, ვირტუალური ლაბორატორიები, phet.colorado, სხვა ინტერნეტ-რესურსები, <u>დაემატოს რეალური ცდებისა და ექსპერიმენტების რესურსები</u>; კურიკულუმში აღნიშნული რესურსების დაფიქსირება ხელს შეუწყობს რეალური ცდების სისტემატურ გამოყენებას სასწავლო პროცესში, კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად.
-------------------------------	---	--



		<u>მათემატიკა</u> ✓ სასურველია, საგნობრივ კურიკულუმებში უფრო მკაფიოდ აისახოს დიფერენცირებული მიდგომები
ინდიკატორი 2.1.2.3	ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული ან შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით	<u>ბუნებისმეტყველება</u> ✓ ქიმიის XII კლასის კურიკულუმის სატიტულო ნაწილში მოცემულია ძირითადი რესურსი - ქიმიის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო, ამავე კურიკულუმის რესურსების კომპონენტში შეცდომით მითითებულია ფიზიკის სახელმძღვანელოს რეკვიზიტები (სახელმძღვანელო: ფიზიკა 12 მოსწავლის წიგნი. გ.გედენიძე. ე. ლაზარაშვილი. ი.ლომიძე (გვ. 7-30) დამატებითი სახელმძღვანელო: ფიზიკა 11 კლ. ქ.ტატიშვილი, გამომცემლობა დიოგენე, 2012 წ.), ასევე, ელექტრონული რესურსები ფიზიკაში, რაც უნდა გასწორდეს.



ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u> ✓ სასურველია , რომ შეფასების სისტემა წარმოდგენილი იყოს ყველა საგანში (მოქალაქეობა) და შეფასება ეფუძნებოდეს ეროვნულ სასწავლო მიზნებსა და საგნობრივი სტანდარტის ინდიკატორებს <u>უცხო ენა</u> ✓ სასურველია , განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმები მეტად მკვეთრად იყოს შესაბამისობაში საგნობრივ სტანდარტში მოცემული შედეგების მიღწევის ინდიკატორებთან რაც ნათელს გახდის სასწავლო
-------------------------------	---	--



		მიზნებისა და მიღწეული შედეგების ურთიერთმიმართებას. <u>სახელმწიფო ენა</u> ✓ სასურველია განმსაზღვრელი/განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შესაქმნელად გამოიყენონ საგნობრივ სტანდარტში მოცემული შედეგების მიღწევის ინდიკატორები დავალების პირობის გათვალისწინებით; ინდიკატორები დააკონკრეტონ საკითხთან და ქვესაკითხთან მიმართებით;
ინდიკატორი 2.2.2.1	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სასწავლო რესურსი	<u>ბუნებისმეტყველება</u> ✓ <i>სასურველია</i>, მეტი ყურადღება დაეთმოს სამივე საგანში, განსაკუთრებით კი, ფიზიკასა და ქიმიაში, ლაბორატორიული მოწყობილობების და მასალების/ქიმიური რეაქტივების, ფიზიკური ხელსაწყოების შეძენა-შეცვლას რეალური სადემონსტრაციო - სასწავლო ცდებისა და ექსპერიმენტებისათვის; ასევე, არსებული რეაქტივების <u>მოწესრიგებულ განთავსებას</u> კარადებში (და არა ყუთებში); სასურველია, რომ ქიმიური რეაქტივები ორგანიზებული იყოს შენახვის ჯგუფების მიხედვით/კლასების მიხედვით (მარტივი ნივთიერებები - ლითონები და არალითონები; არაორგანული ნივთიერებები ნაერთთა კლასები - ოქსიდები, მჟავები, ტუტეები/ფუძეები, მარილები; ორგანული ნივთიერებები); დამზადებულ ხსნარებს ჰქონდეთ ეტიკეტები; ✓ <i>სასურველია</i>, ფიზიკის მოწყობილობებს <i>შენახვის ადგილების, სასწავლო /ექსპერიმენტული ამოცანების მიხედვით</i> გაუკეთდეს შესაბამისი წარწერები (მექანიკური, სითბური, ოპტიკური მოვლენების, ელექტრობის შესასწავლად და სხვ.);



		✓ სასურველია, ბიოლოგიის სკოლაში ასრებულ ისეთ რესურსებს, როგორცაა ორგანოთა მულაჟები, ჰერბარიუმები, სხვადასხვა კოლექციები, <u>შენახვის ადგილების და /ან სასწავლო /ექსპერიმენტული ამოცანების მიხედვით</u> გაუკეთდეს შესაბამისი წარწერები; ✓ სასურველია, მომზადდეს საგნების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) საშუალო საფეხურის კლასების მიხედვით რეალური ექსპერიმენტების კართოთეკა (ბარათზე: ცდის/ლაბ.სამუშაოს დასახელება, მასალები/რეაქტივები, მოწყობილობები, სამუშაოს პროტოკოლი/მსვლელობა), რაც ხელს შეუწყობს სკოლის პირობებში რეალური ცდების/ ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარებას (ამისთვის სკოლაში საკმაოდ კარგი საწყისი ინფრასტრუქტურული პირობებია: ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის ცალკე კაბინეტების არსებობა, ქიმიის და ბიოლოგიის კაბინეტებთან საპრეპარატოროები, კაბინეტებში შეყვანილია წყალი (ნიჟარები), გამართული ელექტროგაყვანილობა).
--	--	---



--	--	--

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას.

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;



4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;

სსიპ- ქალაქ თბილისის 102-ე საჯარო სკოლის მისია და ხედვა ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონსა და ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითად პრინციპებს. სკოლის მისიაა მაღალკვალიფიციური პერსონალის დახმარებით, შესაძლებლობა მისცეს ყველა მოსწავლეს, უსაფრთხო, მუდმივად განვითარებად და მზრუნველ გარემოში, მიაღწიოს თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს, სწავლა -სწავლების სტრატეგიის ეფექტური ცვლილებით, მასწავლებელთა მუდმივი პროფესიული განვითარების ხელშეწყობით, არაფორმალური განათლების გაძლიერებით აღზარდოს დემოკრატიულ ღირებულებებზე, მსოფლიოში აღიარებულ ეთიკურ ფასეულობებზე, პიროვნულ განვითარებაზე, ოჯახის პატივისცემასა და ეროვნულ სულისკვეთებაზე ორიენტირებული ჯანსაღი მოქალაქე.

სკოლის მისიაში გაერთიანებულია და გადმოცემულია სკოლის ზოგადი მიზნები, ამოცანები. მისია საფუძვრების მიხედვით, სრულად შეესაბამება და აერთიანებს ზოგადი განათლების შესახებ კანონის 32-ე მუხლით განსაზღვრულ თითოეული საფუძვრის მისიას.



სკოლის ხედვა სკოლა თავისი საქმიანობით დაგეგმილ პერიოდში უნდა გახდეს სანდო, აღიარებული და მოთხოვნადი დაწესებულება, რომელიც შეძლებს თანამედროვე, ინოვაციური სასკოლო და პროფესიული სწავლების მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით აღზარდოს დემოკრატიული, პიროვნულ განვითარებაზე და ცოდნის მიღებაზე ორიენტირებული, ოჯახისა და ეროვნული ტრადიციების პატივისმცემელი, ფიზიკურად ჯანმრთელი მოქალაქე. სკოლის ხედვა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და აჩვენებს იმას, თუ სად სურს სკოლას გრძელვადიან პერსპექტივაში თავის დამკვიდრება, რათა სკოლა გახდეს კიდევ უფრო წარმატებული. სკოლა ორიენტირებულია აღზარდოს ეროვნული ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნება, რომელსაც მისცემს სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე დამყარებულ საფუძვლიან განათლებას, სასკოლო საზოგადოება თანხმდება ისეთ ღირებულებებზე, რომ სკოლის მიერ წარმართული საქმიანობა მიმართული იყოს მისიის რეალიზებასა და სტრატეგიული მიმართულებების ეფექტურგანხორციელებაზე.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;

სკოლა თავისი მისიით, ხედვით და ღირებულებებით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლის მიერ წარმოდგენილ შვიდწლიან სტრატეგიული განვითარების გეგმაში(2024-2030წ) -განსაზღვრულია როგორ გარემოში, როგორი ადამიანური და მატერიალური რესურსით შეძლებენ მისიით განსაზღვრული ღირებულებების მქონე პიროვნების აღზრდას.

სკოლაში შექმნილია მრავალფეროვანი გარემო, რაც დასტურდება სხვადასხვა ეროვნებისა და ეთნიკური კუთვნილების მოსწავლეების სიმრავლით. სკოლის წარმატებულობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია უსაფრთხო სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა, სადაც სკოლის ძირითადი ღირებულებების დაცვით თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა გამოავლინოს და განავითაროს საკუთარი უნარ-ჩვევები და მიიღოს თეორიული და პრაქტიკული ცოდნა. სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სკოლაში დამტკიცებულია უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა, რომელიც წარმოადგენს სკოლაში უსაფრთხოების დაცვის ერთგვარ სახელმძღვანელოს. აღნიშნულ დოკუმენტში მოცემულია რა მიზნების შესრულებას ემსახურება და რა ფორმებით ხდება სკოლაში უსაფრთხოების უზრუნველყოფა. სკოლა მიყვება ისეთ ღირებულებებსა და პრინციპებს, როგორიცაა, თანასწორობა, ურთიერთპატივისცემა, ტოლერანტობა, განსხვავებული აზრის მიმღებლობა და პატივისცემა, ასევე, ზრუნავს მოსწავლის სოციალური და ფსიქო-ემოციური უნარების გამომუშავებაზე. სკოლა თავისი მისიითა და ხედვით წარმოადგენს პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო -კულტურულ სივრცეს.



პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო - კულტურული სივრცის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლა ჩართულია სხვადასხვა კონკურსებში, ღონისძიებებში და პროექტებში, როგორც სკოლაში, ასევე სკოლის გარეთ. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ განხორციელებულ აქტივობებში აქტიურად არის ჩართული სასკოლო საზოგადოება. პროექტების განხორციელების რეფლექსიებში და მასწავლებელთა პორტფოლიოებში თვალნათლივ ჩანს თანამშრომლობა, გუნდურობა და კეთილგანწყობილი დამოკიდებულებები. ადგილზე ვიზიტის და სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე, სკოლას აქვს მზაობა დაინახოს, გაიაზროს და განსაზღვროს საკუთარი როლი სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცის შესაქმნელად.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით; რას დასადასტურებლად სკოლამ წარმოადგინა სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცედურები, დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრულია პროცესის შემუშავების ეტაპები.

სკოლამ სასკოლო საზოგადოების ჩართულობით ჩაატარა კვლევა, კვლევის ფარგლებში შეიქმნა კითხვარები როგორც მასწავლებლებისთვის, ასე მოსწავლეებისა და მშობლებისთვის, რომ სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის საფუძველზე დაედგინათ სკოლის სუსტი და ძლიერი მხარეები, განხორციელების რისკები და შესაძლებლობები, შესაბამისი აქტივობები, მიზნები და მისაღწევი შედეგები. ამის შემდეგ მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით განისაზღვრა ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან შესაბამისი მიმართულებები, რაზე დაყრდნობითაც სასკოლო საზოგადოების ჩართულობით შემუშავდა მისია, ხედვა, ღირებულებები. სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული გეგმის მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, სკოლაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი (დირექტორის ბრძანება N1/კ-59 04.04.2024წ), რომლის შემადგენლობაში შედიან მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები. ამ ჯგუფის შეხვედრებზე შემუშავდა სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული გეგმის პროექტები. ამავე დროს, სკოლას შემუშავებული აქვს სხვადასხვა ტიპის კითხვარი სკოლის პერსონალის, მოსწავლეებისა და მშობლებისათვის Google Forms-ის პროგრამით. კითხვარების დამუშავების შედეგად გამოკვეთილი მოსაზრებები და მოთხოვნები აისახა სასკოლო სასწავლო გეგმაში. მისიის შემუშავების პროცესში გაითვალისწინეს სკოლის თვითშეფასების შედეგები.



ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

სკოლის მისია და ხედვა, ღირებულებები გაზიარებულია სკოლის ვებგვერდზე. სკოლის მიერ წარმოდგენილ სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღწერილია მისიის, ხედვის, ღირებულებების გაზიარების მექანიზმები და სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის უკუკავშირის მიღების მიზნით რა აქტივობებს ახორციელებს სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად. ასევე, სასკოლო სასწავლო გეგმა, რომლის ნაწილია მისია, ხედვა, ღირებულებები თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან და მტკიცდება პედაგოგიური საბჭოს მიერ. სასკოლო სასწავლო გეგმა გამოკრულია სკოლის შენობაში საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილ დაფაზე. სკოლის წარმომადგენლები გასაუბრების დროს აცხადებდნენ, რომ ყოველდღიურ სასკოლო პრაქტიკაში აცოცხლებენ მისიაში გაცხადებულ მიმართულებებს. სასკოლო საზოგადოება თანხმდება, რომ თითოეულმა წევრმა უნდა იხელმძღვანელოს სკოლის მისიის და ხედვის განხორციელების მიზნით შემდეგი პრინციპებით, მიდგომებით და ღირებულებებით: პროფესიონალიზმი, საქმის სიყვარული, კეთილსინდისიერება, უკუკავშირის მექანიზმების გაძლიერება და ა. შ.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე, სოციალურ ქსელში სკოლის გვერდზე, ასევე თვალსაჩინოდ არის გამოკრული სკოლის საინფორმაციო დაფაზე. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ კლასის დამრიგებლებმა სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებთან და მოსწავლეებთან შეხვედრებისას გააცნობენ სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. სკოლა ახორციელებს ზოგადი განათლების კანონის შესაბამისად სწავლებას ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე.



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ ბრძანებით მინიჭებული აქვს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი. სკოლის სახელწოდებად განისაზღვრა: სსიპ - ქალაქ თბილისის N102 საჯარო სკოლა.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი.
- სასკოლო სასწავლო გეგმა.
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- სკოლის ფილოსოფიის მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება.

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა



1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

სსიპ - ქალაქ თბილისის N102 საჯარო სკოლამ შეიმუშავა სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო პოლიტიკის შემუშავების პროცესის - მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების დაგეგმვის ძირითად ეტაპებსა და პროცესში ჩართულ მხარეებს. მეთოდოლოგიაში წარმოდგენილია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპები: თანამონაწილეობა, სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება, გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი მოიცავს ხუთ ძირითად ეტაპს: მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება/გაზიარების პროცესი; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავება/გაზიარება/დამტკიცება; სტრატეგიული სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესი; მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილების შეტანის პროცესი; სტრატეგიული გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადების პროცესი. სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესში ჩართული არის სასკოლო საზოგადოება სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი. სასკოლო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, მეთოდოლოგიის მიხედვით



გათვალისწინებულია სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელშიც გარდა სკოლის დირექციის წარმომადგენლებისა გაერთიანებული იქნებიან მასწავლებლები, მშობლები, საშუალო საფეხურის მოსწავლეები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ჩანს, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შექმნის მეთოდები, რომლის მთავარ ორიენტირად მაქსიმალური ჩართულობა განისაზღვრა. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

სკოლის მიერ შემუშავებულია 2024-2030 წლების სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა, რომელიც შეიცავს სკოლის მისიასთან თავსებად მიზნებს და გამომდინარეობს სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან. მასში ასახულია მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები. სკოლას განსაზღვრული აქვს შემდეგი ძირითადი მიმართულებები: პოზიტიური სასწავლო გარემო, კვალიფიციური კადრები, ტექნოლოგიები. სკოლის მიერ დასახული სტრატეგიული მიმართულებების უზრუნველყოფისათვის დასახულია მისიასთან შესაბამისი სტრატეგიული მიზნები :1. სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება, უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს უზრუნველყოფა; 2.სასკოლო საზოგადოების მართვასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები/პროცედურები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია; 3.სასწავლო და სააღმზრდელო პროცესის მუდმივი განვითარება; 4. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება; 5. მშობელთა ჩართულობა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში; 6. ადგილობრივ და უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობა, საერთაშორისო კავშირების დამყარება და მუდმივი განვითარება; 7. მოსწავლეთა მხარდაჭერა. თითოეული სტრატეგიული მიზნისათვის განსაზღვრულია ამოცანები, რისი განხორციელებაც დაეხმარება სასკოლო საზოგადოებას ამ მიზნების მიღწევაში. სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა არის ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

3.სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას



სკოლამ წარმოადგინა 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმიდან. მასში გათვალისწინებულია სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილი სტრატეგიული მიზნები. სამოქმედო გეგმა შემუშავებულია სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად, გასული სასწავლო წლის შეჯამების და თვითშეფასების ანალიზის საფუძველზე. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ასახულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, შესაბამისი რესურსები და დასახული მიზნების რეალიზების ვადები. აქტივობები დაგეგმილია შემდეგი სტრატეგიული მიზნების მისაღწევად: სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება, უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს უზრუნველყოფა; სასკოლო საზოგადოების მართვასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები/პროცედურები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია; სასწავლო და სააღმზრდელო პროცესის მუდმივი განვითარება; ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება; მშობელთა ჩართულობა სასწავლო -აღმზრდელობით პროცესში; ადგილობრივ და უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობა, საერთაშორისო კავშირების დამყარება და მუდმივი განვითარება; მოსწავლეთა მხარდაჭერა. სამოქმედო გეგმა გათვლილია ერთ წელზე და მისი გადახედვა ხდება ყოველწლიურად. გადახედვის შედეგად ფასდება წინა წლის გეგმის შესრულება. ამგვარად, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

სკოლის ერთწლიან 2024 წლის სამოქმედო გეგმაში გაწერილია შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებები: სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება, სასკოლო საზოგადოების მართვასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები, სასწავლო და სააღმზრდელო პროცესის განვითარება, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება, მშობელთა ჩართულობა, ადგილობრივ და უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობა, მოსწავლეთა მხარდაჭერა; სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული განვითარების გეგმის შვიდივე სტრატეგიული



მიზანი. თითოეულისათვის ცალ-ცალკე გაწერილია ამოცანები, ამ ამოცანების შესაბამისი განსახორციელებელი აქტივობები. თითოეული აქტივობისათვის შესრულების გაზომვადი ინდიკატორია განსაზღვრული, რომელიც კონკრეტული ვადების დაცვით უნდა იყოს წარმოდგენილი. ასევე განსაზღვრულია ერთი ან რამდენიმე პასუხისმგებელი პირი და შესაბამისი რესურსი ადამიანური თუ მატერიალური. სტრატეგიული მიზნის შესაბამისად გაწერილია აქტივობების რეალისტური განხორციელების პერიოდი, შეფასების ინდიკატორები, რაც თვალსაჩინოს ხდის რამდენად შესრულდა კონკრეტული ამოცანა, ასევე გაწერილია შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, ჩართული მხარეები, შეფასების წყარო, ანუ შეფასებისთვის საჭირო დოკუმენტები, ცნობები, ოქმები, ანგარიშები და შესრულებისთვის საჭირო შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.
- შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა.
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციაზე)



3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; (შესაძლოა

არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს:

სკოლის მიერ შემუშავებულ სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში (დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს სხდომაზე N14 2023წ 27 დეკემბერს) მკაფიოდ იკითხება მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, კერძოდ სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მუხლი 7(შესრულების მონიტორინგი) და მუხლი 8 (SWOT ანალიზი) მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. მეორე თავის მუხლი 9 და 10 შესრულების მონიტორინგი გულისხმობს სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს სკოლის სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის განხორციელების ეფექტურობის და რელევანტურობის განსაზღვრის სისტემურ და დისციპლინირებულ პროცესს. ის უზრუნველყოფს სანდო და სასარგებლო ინფორმაციის მოპოვებას დაწესებულების საქმიანობის შესახებ. დამატებით მონიტორინგისა და შეფასების ობიექტური სისტემა სკოლის დირექციის საქმიანობისადმი საზოგადოებრივი ნდობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი საშუალებაა. სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება დაკვირვებით და შეფასებით, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო სკოლის სტრატეგია. მონიტორინგისთვის სკოლა იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ და შესაბამის მტკიცებულებებს.

სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს ამ მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, სკოლა ადგენს SWOT ანალიზს, რომლის მეშვეობითაც ხდება სკოლის შესაძლებლობებისა და მომავალი განვითარების პერსპექტივების გამოვლენა. ასევე, ცვლილებების განსახორციელებლად საჭირო გარემოებების შესწავლა. შეფასების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. აღნიშნულზე



დაყრდნობით სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;

სკოლის დირექტორის ბრძანებით სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას განახორციელებს ამ მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი. ჯგუფის წევრებს შორის გადანაწილებულია ფუნქციები და მიმართულებები, რაზეც მათ აქვთ პასუხისმგებლობა. სამუშაო ჯგუფის წევრები ინფორმაციას იღებენ სტრატეგიული და ერთწლიანი გეგმებით განსაზღვრული პასუხისმგებელი პირების მიერ წარმოდგენილი წერილობითი ანგარიშიდან. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება წინასწარ შემუშავებული მონიტორინგისა და შეფასების ფორმების (ანკეტირება, ინტერვიუ, დაკვირვება, კითხვარები) გამოყენებით. სასწავლო წლის დასრულების შემდეგ საგნობრივი კათედრების, კლასის დამრიგებლების მრჩეველთა საბჭოს, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიმართულებების შესაბამისი წლიური ანგარიშის საფუძველზე შეფასდება სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების ხარისხი და ეფექტიანობა თითოეული მიმართულების მიხედვით. შესრულების ანგარიში საფუძველი იქნება შემდგომი წლის სამოქმედო გეგმის შემუშავების. სამუშაო ჯგუფის მიერ გაიმართება გაერთიანებული შეხვედრები სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების ჩართულობით, სადაც განიხილება სტრატეგიული განვითარების/სამოქმედო გეგმა და თითოეულ აქტივობას მიაჩნება შესაბამისი სტატუსი: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“. საბოლოოდ არსებული სიტუაციის შეჯამების შედეგად გაწერილი და წარმოდგენილი იქნება რეკომენდაციები/მოსაზრებები არსებული პრობლემების გადასაჭრელად. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;



1. სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ სკოლა სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების გაზიარებისთვის გამოიყენებს შემდეგ საშუალებებს:

- ელექტრონული ფოსტა;
- სოციალური ქსელი;
- საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიური ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან;
- სკოლის საინფორმაციო დაფა.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები გამოქვეყნებულია სკოლის ვებ-გვერდზე, გამოკრულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული მიმართულებების შესრულება ფასდება და გამოიყენება სკოლის განვითარებისთვის. სტრატეგიული განვითარების გეგმაში გაწერილია, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმის რეალიზება ხდება შიდა და გარე ფაქტორების გათვალისწინებით. სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიუს დროს ირკვევა, რომ რეგულარულად იმართება შეხვედრები, ტარდება გამოკითხვები, რომელზეც იკვეთება საჭიროებები, პრობლემები და ისახება გადაჭრის გზები. სასწავლო წლის ბოლოს, პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე კათედრების თავმჯდომარეების, სკოლის დირექციის ანგარიშის საფუძველზე ხდება სკოლის მუშაობის შედეგების ანალიზის გათვალისწინება. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგებს სკოლა აანალიზებს, განსაზღვრავს წარმატებულ პრაქტიკას და სუსტ მხარეებს. აღნიშნულ ანალიზს იყენებს მომავალი საქმიანობების დასაგეგმად, რათა მოხდეს თავსებადობა სტრატეგიული განვითარების გეგმასთან საბოლოო მიზნის მისაღწევად ან ახალი რეალობის გათვალისწინებით მოახდინონ მასში ცვლილებების შეტანა.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.



- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.
- სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა.
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.
 - ☒ შეესაბამება
 - ☐ მეტწილად შეესაბამება
 - ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
 - ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

სკოლაში კანონმდებლობის შესაბამისად ფუნქციონირებს სტრუქტურული ერთეულები, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-104 05.06.2024 დამტკიცებულია სკოლის სტრუქტურა. ასევე სკოლის მიერ შემუშავებულია და დირექტორის 2024 წლის 5 ივნისის N2-118 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ ქალაქ თბილისის N102 საჯარო

სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები, რის საფუძველზეც სკოლაში მოქმედი სტრუქტურული პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული. სკოლაში დასაქმებულ პირებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. სამტატო განრიგის შესაბამისად, სკოლას ჰყავს: სკოლის დირექცია - დირექტორი, დირექტორის მოადგილე და ბუღალტერი, ადმინისტრაცია - მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი და საინფორმაციო მენეჯერი. არასამტატო ერთეულები : 4 დამლაგებელი, 2 დარაჯი, ექიმი, ცეცხლფარეში. თანამშრომლებთან დადებული შრომით ხელშეკრულებში მკაფიოდაა გაწერილი მათი უფლება-მოვალეობები. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის ფარგლებში დასახული მიზნების მისაღწევად სკოლის ყოველ სტრუქტურულ რგოლს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები გადანაწილებულია სკოლის საქმიანობიდან გამომდინარე მხარეთა შორის დადებული შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე. სკოლის დირექტორის N 2-104 (05.06.2024წ)) დამტკიცებულია სკოლის სტრუქტურა, სტრუქტურული ერთეულები, თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები, რის მიხედვითაც განსაზღვრულია თითოეული თანამდებობის ფუნქცია და პასუხისმგებლობები. სკოლაში დასაქმებულნი არიან პირები, რომლებიც ითავსებენ როგორც ადმინისტრაციულ, ასევე საგაკვეთილო პროცესს, მათი ფუნქციები გამიჯნულია, არ ხდება ფუნქციათა აღრევა, ან გადაკვეთა, რაც თავისთავად ხელს უწყობენ სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

სკოლის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა პერიოდულად ფასდება მათ მიერ წარმოდგენილი ანგარიშებით, სამსახურებრივი ბარათებითა და დასკვნებით. სკოლის ყველა სტრუქტურის და პირების ფუნქციები ემსახურება სკოლის ძირითადი საქმიანობების შესრულებას და მიზნების განხორციელებას.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.



- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის სტრუქტურა;
- სკოლის საშტატო განრიგი;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები;

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;

სკოლაში ადამიანური რესურსების მართვა რეგულირდება სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული დოკუმენტის -(2024 წლის 30 მაისის N17 სხდომის ოქმი) ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის საფუძველზე . ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შემუშავების მიზანია სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა. სკოლაში პერსონალის მართვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ადამიანური რესურსების მართვა ასევე რეგულირდება სკოლის შინაგანაწესითა და შრომითი ხელშეკრულებებით, რაც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულია ხელშეკრულების საგანი, მხარეთა უფლება-მოვალეობები, სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, დაწყებისა და დასრულების დრო, ანაზღაურებადი შვებულება, ანაზღაურების გარეშე შვებულება, შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი , მხარეთა პასუხისმგებლობის წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა და სხვა. დასაქმებული ვალდებულია გაეცნოს შინაგანაწესს და აღნიშნული დაადასტუროს ხელმოწერით. შინაგანაწესი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის და განთავსებულია ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას, სკოლის საინფორმაციო დაფაზე, ასევე, სკოლის ოფიციალურ ვებ გვერდზე. კლასის დამრიგებლები სასწავლო წლის დაწყებისას შინაგანაწესს აცნობენ მოსწავლეებსა და მათს მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს. ყოველი ცვლილება, რომელიც შედის შინაგანაწესში არაუგვიანეს 5 დღისა, ეცნობება დაინტერესებულ პირებს.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. სკოლა უზრუნველყოფს ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას. სკოლის პერსონალის ინტერვენციული და პრევენციული მართვისთვის სკოლა ახდენს ადამიანური რესურსების საჭიროების ანალიზს, სკოლის წინაშე არსებული მოთხოვნების საფუძველზე ცდილობს დააკმაყოფილოს წარმოქმნილი მოთხოვნა. სკოლაში კადრების რაოდენობისა და სამუშაოს აღწერილობის შესაბამისად ხდება შიდა გადაადგილება, ან საჭირო კადრის გარედან მოზიდვა. უპირველესად ცხადდება შიდა არსებული რესურსების გაანალიზება, შემდგომ ცხადდება შიდა ან გარე კონკურსი.



სკოლა დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით, დასაქმებულთა მოტივაციის ამაღლების მიზნით იყენებენ წახალისების სხვადასხვა მეთოდს, ნერგავენ შეფასების სისტემას, აანალიზებენ და აფასებენ პერსონალის შესაძლებლობებსა და საჭიროებებს, ზრუნავენ მათ კარიერულ წინსვლაზე, შემუშავებულია დასაქმებულის არყოფნის დროს მისი ჩანაცვლების მექანიზმი. სკოლას პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკის კუთხით წარმოდგენილი აქვს პერსონალის დანიშვნის ბრძანებები, რაც რეგულირდება შრომითი ხელშეკრულებით.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;

პერსონალის შერჩევა ხდება კანონმდებლობის შესაბამისად, შიდა და გარე ვაკანსიის გამოცხადების გზით, ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით; სკოლაში მასწავლებლის დასაქმება ხდება მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების შესაბამისად, სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის მუშაობის პრინციპია ობიექტურობა, გამჭვირვალობა, არადისკრიმინაციულობა. ვაკანსია ცხადდება მასწავლებლის სახლის ვებ-გვერდზე www.teacherjobs.ge, საბუთებს არჩევს სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან როგორც სკოლის წარმომადგენლები, ასევე, მასწავლებელთა პროფესიული კავშირის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დარგობრივი დეპარტამენტის, თბილისის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლები და მოწვეული დამოუკიდებელი სპეციალისტი. ასევე კონკურსის წესით ხდება ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების შერჩევა სპეცმასწავლებლის, სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლის ასისტენტის, ფსიქოლოგის და სხვა სპეციალისტის შერჩევა. რაც შეეხება სკოლის სხვა პერსონალს, მათი შერჩევა შესაძლებელია როგორც კონკურსის წესით, ასევე დირექტორის მიერ. კონკურსით მიღებულ თანამშრომელთან გამოსაცდელი ვადით ფორმდება შრომითი ხელშეკრულება. სხვა პერსონალის მოზიდვისა და დასაქმების ობიექტურად და გამჭვირვალედ წარმართვისთვის სკოლას აქვს შემუშავებული საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და შეფასების კრიტერიუმების დოკუმენტები. სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმები.



სკოლაში ექსპერტთა ვიზიტის დროს თანამშრომელთა პირად საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლის თანამშრომლებს წარმოდგენილი არ ჰქონდათ ცნობები: სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის, ნასამართლობის შესახებ და 2020 წლიდან დასაქმებულებს უფლების ჩამორთმევის შესახებ. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც აღნიშნულია, რომ სკოლის ყველა თანამშრომელს უკვე წარმოდგენილი აქვს აღნიშნული ცნობები. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები.

ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ შეფასდა, როგორც სტანდარტთან შესაბამისი.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

სსიპ - თბილისის N 102 საჯარო სკოლაში დასაქმებული პერსონალი შერჩეულია გამჭვირვალედ და ობიექტურობის დაცვით. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულებები ყველა დასაქმებულ პირთან. ადგილზე ვიზიტისას გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები და შრომითი ხელშეკრულებები. სკოლაში დასაქმებული ყველა მასწავლებლის კვალიფიკაცია შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“ გათვალისწინებულ სპეციალურ მოთხოვნებს. თუმცა, ხელშეკრულებებში გათვალისწინებული არ არის ამავე ბრძანებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №959 „საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ“ ბრძანების მოთხოვნები. კერძოდ, არ არის მასწავლებლის სტატუსის შესაბამისი ხელშეკრულებები, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფროსი, წამყვანი და მოწვეული მასწავლებლებისთვის დამატებითი ფუნქციები.

სკოლის სხვა პერსონალის კვალიფიკაცია ძირითადად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ასევე ექიმის, რომლის კვალიფიკაცია შეესაბამება საქართველოს განათლებისა და



მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანებით განსაზღვრულ ექიმის კვალიფიკაციას.

ექსპერტთა ვიზიტის დროს მასწავლებელთა შრომით ხელშეკრულებებში გათვალისწინებული არ იყო ამავე ბრძანებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №959 „საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ“ ბრძანების მოთხოვნები. კერძოდ, მასწავლებლის სტატუსის შესაბამისი ხელშეკრულებები, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფროსი, წამყვანი და მოწვეული მასწავლებლებისთვის დამატებითი ფუნქციები. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც განსაზღვრულია, რომ სკოლამ უზრუნველყო კანონმდებლობის შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება მასწავლებლებთან. მტკიცებულად წარმოადგინა მასწავლებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები.

ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „ არ შეესაბამება“, არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ შეფასდა ,როგორც სტანდარტთან შესაბამისი.



ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;

სკოლაში პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რაც დასტურდება პედაგოგიური საბჭოს, სამეურვეო საბჭოს და სხვა სტრუქტურული ორგანოების სხდომის ოქმებით. სკოლის დირექცია ზრუნავს ხელი შეუწყოს ორგანიზაციული კულტურის განვითარებას, რომელიც გუნდურობასა და თანამშრომლობას მოიაზრებს. სკოლაში საჯაროობის, თანასწორობის პრინციპების დაცვით, თანამშრომლების შესაძლებლობებისა და კომპეტენციის გათვალისწინებით ხდება ფუნქციების დელეგირება, აქტივობებზე პასუხისმგებლობის განაწილება, რაც ზრდის ავტონომიურობის ხარისხს.

სკოლის პერსონალთან გასაუბრებიდან ჩანს, რომ ისინი ჩართულნი არიან და მონაწილეობენ სხვადასხვა გადაწყვეტილების მიღების პროცესსა და პრობლემების მოგვარებაში. აღსანიშნავია სკოლაში საგნობრივ კათედრებს შორის ეფექტური თანამშრომლობა, ისინი ჩართული არიან თანამშრომელთა შერჩევის პროცედურებშიც, ინაწილებენ ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს, რომელიც განსაკუთრებით იკვეთება სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში.

ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ თანამშრომლებს ეძლევათ გარკვეული თავისუფლება, შეუძლიათ დამოუკიდებლად მოქმედება, გადაწყვეტილების მიღება და მასზე პასუხისმგებლობის აღება. მონაწილეობით

ორგანიზაციულ კულტურაზე დაყრდნობით სკოლაში ხორციელდება ეფექტური კომუნიკაცია, მოსმენა, ურთიერთპატივისცემა და უკუკავშირი.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

სკოლაში იყენებენ წარმატებულ გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების სხვადასხვა საშუალებას. პედაგოგებს საკუთარ პრაქტიკაში გადააქვთ ერთმანეთის საუკეთესო გამოცდილება. მაგალითად, მასწავლებლის მიერ შექმნილი, კონკურსზე წარდგენილი რესურსის გამოყენება საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში, რაც როგორც თანამშრომლობას, ასევე აღიარებასაც გულისხმობს. USAID - ის პროექტში „ლიდერი მასწავლებლები“ ჩართული მასწავლებლების მიერ პროექტში მიღებული გამოცდილების გაზიარება კოლეგებისთვის სამუშაო შეხვედრებზე. ურთიერთდასწრებისა და უკუკავშირების პრაქტიკა ხელს უწყობს მასწავლებლებს გაეცნონ და გაიზიარონ წარმატებული გამოცდილება, ეხმარება მათ საჭიროებების დანახვასა თუ გადაჭრაში. სასკოლო პროექტები, რომლის ორგანიზება -განხორციელებაში სასკოლო საზოგადოებამ- დირექცია, მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები იღებენ მონაწილეობას. ასევე საბუნებისმეტყველო და ესთეტიკის კათედრა, კერძოდ ბიოლოგიის და ხელოვნების მასწავლებლები მოსწავლეებთან ერთად ჩართულები არიან ახალგაზრდული გარემოსდაცვითი კონკურსი - ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიის პროექტის - „ტყის მდგრადი მართვა საქართველოში.“ პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მიზნით იყენებს სკოლის საინფორმაციო დაფას, თიშის პლატფორმას და სოციალურ ქსელსღიარებისთვის სკოლის შინაგანაწესში გაწერილია წახალისების პროცედურები.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი;
- საკონკურსო კომისიის ბრძანება და ოქმი.



- პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.
- კათედრის დებულება.
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა.
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

სკოლის პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მიზნით შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის დებულებაში გაწერილია შეფასება და განვითარების დადგენის მექანიზმები. ჯგუფის წევრები სკოლის ადმინისტრაციასთან ერთად ახდენენ საგაკვეთილო დაკვირვებას, ეხმარებიან მასწავლებელს გასაუმჯობესებელ მხარეების გამოკვეთაში, საჭიროების დადგენაში და ხელს უწყობენ მათი პრაქტიკის ეფექტიანობის გაზრდას. კათედრის წევრები ახდენენ მასწავლებელთა თვითშეფასებას, აძლევენ უკუკავშირს, აკვირდებიან მასწავლებლის პროფესიული განვითარების პროცესს. მიზნობრივი შეხვედრებითა და ფოკუს ჯგუფების ანალიზის შედეგად გამოვლენილი საჭიროებების დადგენის შემდეგ მასწავლებლებს სთავაზობენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემოთავაზებულ სხვადასხვა ტიპის ტრენინგს. სკოლის ბიბლიოთეკარი და ბუღალტერი, რომლებმაც გაიარეს ტრენინგები, წარმატებით ნერგავენ პრაქტიკაში ტრენინგზე მიღებულ თეორიული საკითხების ცოდნას. სკოლის ადმინისტრაცია ელექტრონული ფოსტების, ასევე სოციალურ ქსელებში შექმნილი ჯგუფების საშუალებით აწვდის თანამშრომლებს ინფორმაციას. ვიზიტის დროს სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული განვითარების მხარდამჭერი ჯგუფის ანგარიშები.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;

პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად. სამუშაო პროცესზე დაკვირვების, ურთიერთდასწრებების შედეგად გამოვლენილი საჭიროებები დეტალურად განიხილება ინდივიდუალურად მასწავლებლებთან, რომლებიც თავის მხრივ ზრუნავენ საკუთარი პროფესიული განვითარებისთვის. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად გაწერილია პროფესიული განვითარების საჭიროებების გამოვლენისა და მართვის მექანიზმები. ადამიანური რესურსის განვითარების მიზნით სკოლაში მიმდინარეობს მასწავლებელთა თვითგანვითარების ხელშეწყობა, შეძენილი თეორიული ცოდნის პრაქტიკულად საკლასო სივრცეში განხორციელება, ურთიერთდასწრება, გამოცდილების გაზიარება, რეკომენდაციების გაცემა. სკოლამ დადასტურებად წარმოადგინა ხარისხის განვითარებისა და მხარდამჭერი ჯგუფის სამოქმედო გეგმა და სამუშაო შეხვედრების ამსახველი მასალა, სადაც იკითხება საჭიროებების გამოვლენისა და რეაგირების საჭირო ინსტრუმენტები.



ამ დროისთვის სკოლისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება პროფესიული განვითარების კუთხით მასწავლებლებში ციფრული კომპეტენციების განვითარებაა, ამ მიმართულებით 2024 წლის ივნისში სკოლის დონეზე დაიგეგმა სამუშაო შეხვედრები, რის საფუძველზეც გამოვლენილი პრობლემების დასაძლევად განხორციელდება შესაბამისი აქტივობები.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;

სკოლაში შემუშავებული ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმების ერთ-ერთი ამოცანაა ხელი შეუწყოს პერსონალის კარიერულ ზრდას. დასაქმებულის თანხმობით სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომელთა მონაწილეობას პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში. მასწავლებლებს სკოლის დირექცია დროულად აწვდის ინფორმაციებს დაგეგმილი ტრენინგების, შეხვედრების, ვებინარების შესახებ (eflow, სოც. ქსელი, თიშისი, საინფორმაციო დაფა). პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია დირექციისგან, რაც ხელს უწყობს მათ კარიერულ წინსვლას.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

სკოლა ხელს უწყობს თანამშრომლების ინტეგრაციას სასწავლო გარემოსთან. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში(დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს მიერ 2024 წლის 30 მაისის N 17 სხდომაზე) გაწერილია თანამშრომელთა ადაპტაციის აქტივობები. ინტეგრაციის მიზნით ახალ თანამშრომელს აცნობენ შიდა სასკოლო რეგულაციებს, შინაგანაწესს, თანამდებობრივ ინსტრუქციებს, წარადგენენ კოლექტივის წინაშე. წარდგენისას ხაზს უსვამენ მათ ძლიერ მხარეებს, აწევრიანებენ პროფესიულ და შიდა სოციალურ ჯგუფებში. ისინი მონაწილეობას იღებენ სტრუქტურული ერთეულების მუშაობაში.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.



5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

სკოლაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლა ცდილობს შექმნას მასწავლებლებისთვის კომფორტული, კოლეგიალური სამუშაო გარემო და საჭიროების შემთხვევაში, მოახდინოს მათი ინფორმირება და ფასილიტაცია. მასწავლებლები მხარს უჭერენ ერთმანეთს პროფესიული განვითარების კუთხით. სკოლა ეხმარება თანამშრომლებს იდეების განვითარებასა და რეალიზებაში. სკოლა მუდმივად აწვდის ინფორმაციას მასწავლებლებს პროფესიული განვითარებისთვის აუცილებელ და საჭირო ტრენინგ-მოდულებზე, ასევე სკოლის დირექციის მიერ მხარდაჭერილია მასწავლებელთა ინიციატივით დაგეგმილი სხვადასხვა პროფესიული განვითარებისთვის საჭირო აქტივობების განხორციელება.

სკოლის რამდენიმე მასწავლებელი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა საერთაშორისო პროექტში. აღსანიშნავია სკოლის თანამშრომლობა საკონსულტაციო სააგენტო Key Consulting -თან. სკოლა მუდმივად ითვალისწინებს მასწავლებლების ინიციატივებს და ამ მიზნით კათედრების მომართვის საფუძველზე უზრუნველყოფს მათ ყველა ტიპის საგანმანათლებლო რესურსით.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.



დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები.
- სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სკოლის შინაგანაწესი.
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერთა ჯგუფის მასალები.
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.
- ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკა.
- შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს.
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს.

სკოლამ წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი(N2/107. 04. 06. 2024 წ) დოკუმენტის მიზანი სწავლების ხარისხის მონიტორინგი და მათი მუდმივი სრულყოფა, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება და მათი განვითარებისათვის ხელშეწყობაა. ხარისხის სისტემა ფუნქციონირებს დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე ციკლის პრინციპით. დოკუმენტში გაწერილია ხარისხის შიდა და გარე მექანიზმები. სკოლის მიერ შემუშავებული ხარისხის მართვის მექანიზმები ეფუძნება ისეთ ძირითად პრინციპებს,



როგორცაა გამჭვირვალობა, უწყვეტობა და ანგარიშვალდებულება. სკოლამ წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის კომპონენტების არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულებები: კვლევები, ანალიზები, კათედრის სხდომის ოქმები და სხვა. დირექცია და ადმინისტრაცია ხარისხის უზრუნველსაყოფად იყენებს სხვადასხვა ტექნიკურ აღჭურვილობას, სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო მასალის მიწოდებას მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის, ასაკობრივი ჯგუფისა და მათი განვითარების დონის შესაბამისად, მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად სკოლის ბიბლიოთეკაში არის სამუშაო სივრცე და მეთოდური ლიტერატურა. სკოლა უზრუნველყოფილია საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიებით, სახელმძღვანელოებითა და კომპიუტერული ტექნიკით.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად, რომელიც გულისხმობს საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესების იდენტიფიცირებას. მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის სხვადასხვა დოკუმენტებში: შინაგანაწესში, შრომით ხელშეკრულებებში, სასკოლო კურიკულუმში, სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის მარეგულირებელ დებულებებში, სკოლის შინაგანაწესში. სკოლის მისიისა და სტრატეგიული მიზნების მიღწევას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს აგრეთვე იმ საკანონმდებლო რეგულაციებით, სადაც აღწერილია სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებისა და თანამდებობის პირების ფუნქციები. თანამდებობრივ ინსტრუქციებში კი იდენტიფიცირებული და აღწერილია თითოეული სტრუქტურული ერთეულის შესასრულებელი ფუნქციები, უფლებები და მოვალეობები.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;



სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების მექანიზმი. კერძოდ სკოლას შემუშავებული აქვს საჩივრის განხილვის მექანიზმები(დამტკიცებული დირექტორის ბრძანება N2/ 121 (4. 06. 2024წ.) საფუძველზე). ასევე, სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, მასწავლებლის დისციპლინური წარმოება, რომელიც ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად. როგორც სკოლის პერსონალს, ასევე, მოსწავლესა თუ მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვთ გაასაჩივრონ სკოლის გადაწყვეტილებები. აღნიშნულის შესახებ მათ მიეწოდებათ ინფორმაცია შინაგანაწესის განხილვის დროს. შინაგანაწესი გამოკრულია საჯაროდ სკოლის საინფორმაციო დაფაზე და განთავსებულია სკოლის ვებ გვერდზე. სკოლაში ეს პროცესი მიმდინარეობს ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვით.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

4.სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

სკოლაში შინაგანაწესითა და სკოლის დირექტორის ბრძანებით N 2/112 04.06.2024წ. დამტკიცებულია „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის“ დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების კანონიერი უფლებების დაცვას. ასევე სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალური მონაცემების დაცვისა და მონიტორინგის მექანიზმები“, (ბრძანება N2/117. 04.06.2024წ) რომელსაც სკოლა იყენებს სკოლის მიერ მოსწავლეების, მოსწავლეების მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების, მასწავლებლებისა და სხვა დასაქმებული თანამშრომლების მონაცემთა დამუშავების პროცესში და გავრცელდება სკოლის მიერ მონაცემების ნებისმიერი ფორმით დამუშავებაზე. სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინარული კომიტეტი და მრჩეველთა საბჭო, რომელთა ძირითად ფუნქციას წარმოადგენს მოსწავლეებისა და პერსონალის უფლებების დაცვა. სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა სკოლაში ფიზიკური უსაფრთხოებისა და დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი. დოკუმენტში გაწერილია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმები. ასევე მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმების შესრულებაზე პასუხისმგებელია სკოლის ადმინისტრაცია, მანდატურის სამსახური, მორიგე მასწავლებლები და კლასის

დამრიგებლები.

სკოლაში პერსონალის უფლებები და მოვალეობები გაწერილია შრომით ხელშეკრულებებში, რომლებიც იდება სკოლასა და სკოლაში დასაქმებულ პირებს შორის. პერსონალის, მშობლის /კანონიერი წარმომადგენლის უფლებები გაწერილია შინაგანაწესში, რომლის გაცნობასაც ხელმოწერით ადასტურებს დასაქმებული თანამშრომელიც. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და მოვალეობები კი გაწერილია ხელშეკრულებაში, რომელიც იდება სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის. დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებსაც და მოსწავლეებსაც შეახსენებენ შინაგანაწესით გათვალისწინებულ რეგულაციებს, მათ შორის თავიანთ უფლება-მოვალეობებს.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- შრომითი ხელშეკრულება.
- განცხადებისა და საჩივრების განხილვის წესი;
- დირექტორის ბრძანება;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- პერსონალური მონაცემების დაცვისა და მონიტორინგის მექანიზმები;
- მოსწავლეთა მხარდაჭერის დებულება;
- უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების დოკუმენტი.
- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი;
- მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება.



3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების მექანიზმები;

სკოლა სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის იყენებს ვებ.გვერდს, ელექტრონულ ჟურნალს, Microsoft Teams - ის პლატფორმას, მეილებს, sms-ებს, შეხვედრებს (ინდივიდუალური და ჯგუფური), კრებებს, დამრიგებელთა და მასწავლებელთა სოციალურ გვერდებს.

პედაგოგებთან, საქმისმწარმოებელთან ინტერვიუებამ აჩვენა, რომ სკოლა სოციალურ ჯგუფებში ავრცელებს ინფორმაციას სასწავლო პროგრამების, სასწავლო რეჟიმის, არაფორმალური განათლების აქტივობების შესახებ. სოციალური ქსელს სკოლა იყენებს სასკოლო კვლევების განსახორციელებლად.

სკოლის ფოიეში და სამასწავლებლოში განთავსებულია საინფორმაციო დაფა, რომელზეც მოცემულია სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სიახლეები. სკოლის დირექტორთან და მასწავლებლებთან გასაუბრისას დადგინდა, სასწავლო წლის დაწყებისას დამრიგებელი უზრუნველყოფს მოსწავლეებისათვის და მათ მშობლებისთვის/კანონიერი წარმომადგენლებისთვის შემდეგი დოკუმენტაციის გაცნობას: სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, სტრატეგიული განვითარების გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, მოსწავლის ქცევის კოდექსი, გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, ქცევის წესები, სკოლაში არსებული მოსწავლეთა ზოგადი შეფასების სისტემა და სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების შესახებ ინფორმაცია და სხვ. სკოლამ შეიმუშავა „მშობელთან ურთიერთობის დებულება“



დამტკიცებული დირექტორის ბრძანება N 2/109. 04.06.2024წ. შესაბამისად (კომუნიკაციის სტრატეგია)“, რომელიც დაეხმარება მშობლის ინფორმირებულობას და მისგან უკუკავშირის მიღებას.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, პედაგოგიური საბჭო, მრჩეველთა საბჭო, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. სკოლის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულია სასკოლო საზოგადოების წევრები სამეურვეო საბჭოს მეშვეობით. წევრი მშობლები წარმოადგენენ მშობელთა ხმას სამეურვეო საბჭოში. თითოეული საფეხურიდან წარმომადგენელი, რომელიც სამეურვეო საბჭოს წევრია, მონაწილეობს სკოლის ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების პროცესში. ასევე, ისინი მონაწილეობენ სასკოლო-სასწავლო გეგმის განხილვისა და შეთანხმების პროცესში. სამეურვეო საბჭოს წევრია, ასევე, სკოლის საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე, რომელიც წარმოადგენს სკოლის მოსწავლეთა ხმას სამეურვეო საბჭოში. მშობლები და მოსწავლეები არიან სკოლის დისციპლინური კომიტეტის წევრებიც. სკოლაში არჩეულია მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა შეხვედრების ოქმები, რის მეშვეობით დასტურდება სასკოლო ცხოვრებაში და კოლეგიურ ორგანოებში ჩართულობა არიან მშობლები.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- დისციპლინური საბჭოს სხდომის ოქმები.
- სასკოლო-სასწავლო გეგმა.
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი.

- პედსაბჭოს სხდომის ოქმი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს:
ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;



8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ინფრასტრუქტურა, ადამიანური რესურსი ემსახურება მოსწავლეთა ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას. სასკოლო საზოგადოების წევრების ფიზიკური უსაფრთხოების დასაცავად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, უსაფრთხოების პოლიტიკა, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა; განსაზღვრულია საგანგებო შტაბის შემადგენლობა. გაფორმებულია ხელშეკრულება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დარაჯის პოზიციაზე სამ პირთან. სკოლას ჰყავს ორი მანდატური, ექიმი. შემუშავებულია კლასის მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი, სკოლის ყველა სართულზე სავაკუაციო გეგმის შესაბამისად განთავსებულია ცეცხლმაქრები, თუმცა ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში ცეცხლმაქრები არ იყო გადამუშტული. სკოლის შენობა ოთხსართულიანია, სკოლის ეზო შემოსაზღვრულია კაპიტალური ღობით. შენობის მახლობლად მიმდინარეობს სხვა სკოლის მშენებლობა, სამშენებლო მასალა არის სკოლის უკანა ეზოში, დირექტორის განცხადებით უახლოეს მომავალში, სასწავლო წლის დაწყებამდე იგეგმება აღნიშნული უკანა ეზოს გადაღობვა, რათა აღნიშნული ტერიტორია იყოს მოსწავლეთათვის უსაფრთხო. ეზოში მოწყობილია ორი ღია სპორტული მოედანი. სკოლის გარეთ და სკოლაში მანდატურის სამსახურის მხრიდან უზრუნველყოფილია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში შიდა პერიმეტრზე განთავსებულია 15 ვიდეო კამერა, სკოლის შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შენობის დაცვაზე პასუხისმგებელია სკოლის დარაჯები, რომლებიც სპეციალურ ჟურნალში აღრიცხავენ სკოლაში შემსვლელ-გამსვლელ პირებს. სასწავლო პროცესის დროს უცხო პირების გადაადგილება დაუშვებელია, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა. სკოლიდან მოსწავლის გასვლა სასწავლო პროცესის დროს დაშვებულია საშვით, რაც თანხმდება მშობელთან. სკოლას არ აქვს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული და სკოლის



დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანგებო მართვის გეგმა. თუმცა ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმის მიხედვით საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შესაბამის უწყებასთან შეთანხმების შესრულების ვადად სკოლამ განსაზღვრა 01.07.2025 წელი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ფუნქციონირებს კანონმდებლობის დაცვით შექმნილი უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო. მრჩეველთა საბჭოს ოქმში აღნიშნულია, რომ სკოლამ მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აწვდის სსიპ „112“-ის ცხელი ხაზის ნომერს, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, მანდატურის სამსახურის ფსიქო - სოციალური ცენტრის და მანდატურის სამსახურის მონიტორინგის სამმართველოს ცხელი ხაზის ნომრებს. ეს მონაცემები გამოკრულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საინფორმაციო დაფაზე. სკოლა უზრუნველყოფს პირველადი დახმარების აღმოჩენას. კერძოდ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმი - პედიატრი. შენობაში განთავსებულია სათანადო ინვენტარითა და მედიკამენტებით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი. სამედიცინო კაბინეტში არსებული მედიკამენტები ინახება დაცულ კარადაში შესაბამის პირობებში და მასთან წვდომა აქვს მხოლოდ ექიმს. ექიმი აწარმოებს სამედიცინო კაბინეტში არსებული მედიკამენტების ჟურნალს. სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი, სადაც გათვალისწინებულია სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების პროტოკოლი. თუმცა, სკოლას მიეცა რჩევა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ ბრძანებით №41/ნ/01-23/, 1.03.2022წ. წარმოდგენილი რეგულაციების საფუძველზე, სამედიცინო კაბინეტში უნდა ჰქონდეს გასასინჯი სივრცე(შირმა). სკოლის არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. სკოლას მიეცა რჩევა, იზრუნოს შესაბამისი კვალიფიკაციის კადრის დასაქმებაზე, შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებულ სპეციალისტთან დაკავშირებით;

ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსგან გაცემული 2024 წლის 15 მაისის N50027772204 დასკვნა N003059124. დასკვნაში მითითებულია, რომ სსიპ -ქალაქ თბილისის N102 საჯარო სკოლის შენობის ექსპლუატაცია დამაკმაყოფილებელია.



რაც შეეხება სკოლის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნას, სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების აღმოფხვრის თაობაზე ზედამხედველობის მიწერილობის N162(17/03/2023) მიღების შემდეგ სკოლამ გაითვალისწინა და შესრულა თორმეტივე რეკომენდაცია და და უახლოეს მომავალში მიმართავს სახანძრო ტექნიკური შემოწმების მიზნით საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შესრულებული სამუშაოს გადამოწმებისა და მოთხოვნების შესაბამისობის დასადგენად.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციის დროს წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც განსაზღვრულია, რომ 2026 წლის 1 სექტემბრამდე უზრუნველყოფს აღნიშნული ხარვეზის გამოსწორებას. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა წერილი სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიმართ.

რჩევა :

ა) სკოლას მიეცა რჩევა კანონმდებლობის შესაბამისად შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აყვანის. ბ) სამედიცინო კაბინეტში ჰქონდეს გასასინჯი სივრცე (შირმა).

გ) გადამუხტოს ცეცხლმაქრები.

რეკომენდაცია: 1.სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტები/დასკვნის წარმოდგენა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში(01/09/2026წ)

2. სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (01.07.24- დან -01.07.25- მდე)

საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის უწყებასთან.

ინდიკატორი,რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე იყო შეფასებული, როგორც „არ შეესაბამება“,

შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი.

2. სკოლა უზრუნველყოფს პირველადი დახმარების აღმოჩენას. კერძოდ, სკოლას ჰყავს ექიმი. ექიმის კვალიფიკაცია თანხვედრაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა , შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022წლის 21 მარტის N41/5/01-23/5 ბრძანებასთან. დაწესებულებას აქვს სამედიცინო კაბინეტი. შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმი პედიატრი, შენობაში განთავსებულია სათანადო ინვენტარითა და მედიკამენტებით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი. თუმცა არ არის გასასინჯი სივრცე გამოყოფილი, ეგრეთწოდებული შირმა. სამედიცინო კაბინეტში არსებული



მედიკამენტები ინახება დაცულ კარადაში შესაბამის პირობებში და მასთან წვდომა აქვს მხოლოდ ექიმს. ექიმი აწარმოებს სამედიცინო კაბინეტში არსებული მედიკამენტების ჟურნალს. სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი, სადაც გათვალისწინებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი დახმარების პროტოკოლი.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

3. სკოლაში მომუშავე მანდატურები უზრუნველყოფენ სკოლის ტერიტორიაზე და მიმდებარე ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვას. ასევე სკოლის დარაჯები უზრუნველყოფენ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას როგორც გაკვეთილების მიმდინარეობისას, ასევე, შენობაში შესვლისა და გასვლის დროს. სკოლაში მასწავლებლები მორიგეობენ გაკვეთილების მიმდინარეობისას, სკოლის ვიზიტორებს აღრიცხავს დარაჯი. სკოლას ჰყავს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, მოსწავლის უკონტაქტო დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში ნებისმიერი დარღვევა აღირიცხება ელექტრონული წესით ელექტრონული ჟურნალის შესაბამის ველში და მოჰყვება დაუყოვნებლივი რეაგირება. ღონისძიებების ეს ერთობლიობა მინიმუმამდე ამცირებს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტებს. გამოვლენილი თითოეული დარღვევა არ რჩება რეაგირების გარეშე.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.



4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს. კლასის დამრიგებლები აქტიური მუშაობით, სადამრიგებლო საათებზე საუბრებით, დისკუსიებით აღმოფხვრიან ბულინგის, კიბერბულინგის, ძალადობის ფსიქოლოგიური შემთხვევებს. სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი თავს გრძნობს დაცულად. ეს მიიღწევა კეთილგანწყობით, ურთიერთპატივისცემით, ეფექტური, პოზიტიური, თანმიმდევრული კომუნიკაციით, ემპათიით, თანამშრომელთა პასუხისმგებლობით, ნდობის მოპოვებით, პოზიტიური საკლასო კლიმატის შექმნაზე ზრუნვით, ურთიერთობებით, მშობლების ინფორმირებულობით, მათთან თანამშრომლობით და მზაობით, რომ ნებისმიერი პრობლემა გადაიჭრას მოსწავლის ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, თანასწორობისა და სამართლიანობის განცდით, რომელსაც სკოლის თანამშრომლები ქმნიან.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

5. სკოლას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური პირობებს დაცვის მექანიზმი. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტერიტორიაზე დასუფთავების მონიტორინგს ახდენს სკოლის ექიმი და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი. დასუფთავების მონიტორინგი ხორციელდება ყოველდღე და დასტურდება დოკუმენტურად ანგარიშით. სკოლას სადეზინფექციო სამუშაოების მწარმოებელ სამსახურთან აქვს გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულება. სკოლაში განცალკევებით ინახება სანიტარული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი ინვენტარი, რომელიც ექვემდებარება დამუშავებას ყოველი სამუშაო დღის



დასრულების შემდგომ. ასევე, სკოლის სათავსოების დასუფთავებისათვის გამოყენებული საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ყველა სართულზე არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები, ცალკე გოგონების და ცალკე ვაჟებისთვის. პედაგოგებისთვის და სხვა პერსონალისთვის არსებობს სანიტარული კვანძი და მოუკიდებელი შესასვლელით.

პირველ სართულზე განთავსებულია სსსმ პირთათვის ადაპტირებული სველი წერტილები.

სველი სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით, სათანადოდ აღჭურვილი, მოხერხებული, პრივატული, დაცული, სუფთა, ხელმისაწვდომი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეებისა და პერსონალისათვის. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

6. სკოლის წარმომადგენლები აცნობიერებენ პერსონალური მონაცემების დაცვის აუცილებლობას. სკოლის პერსონალური მონაცემები დაცულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა eschool-ში.

ამ მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირია სკოლის საინფორმაციო მენეჯერი. საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეთა პირადი მონაცემების გასაჯაროებისათვის იყენებენ მშობელთა თანხმობის ფორმას. სკოლის მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების მონაცემები ინახება ელექტრონულ ჟურნალში, რომელზეც ხელი მიუწვდება მოსწავლეს, მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. სკოლა უზრუნველყოფს როგორც მოსწავლისა და მისი მშობლის/მეურვის, ასევე - სკოლაში დასაქმებული ყველა თანამშრომლის პერსონალური მონაცემების დაცვას. სკოლაში მოქმედებს პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის N2/11704.06.2024 ბრძანებით. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

7. სკოლის მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლა ახდენს მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვას. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალური ინფორმაციის დაცვის მექანიზმები. სამოქმედო გეგმის მიხედვით დაგეგმილია საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემის განვითარება და სკოლის ციფრული განვითარება. სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარაუდგინა ციფრული განვითარების გეგმის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ციფრული ტექნოლოგიების მართვის პრინციპებსა და პროცედურებს. ადგილზე ვიზიტის დროს საქმისმწარმოებელთან ინტერვიუებით გაირკვა, რომ სკოლა მესამე პირს არ გადასცემს კონკრეტულ ინფორმაციას. სკოლას ბრძანებით ჰყავს განსაზღვრული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე და ინფორმაციის პრაქტიკულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი. საქმისმწარმოებლის განმარტებით, სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია. სკოლის მიერ შემუშავებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი განსაზღვრავს სკოლის ვალდებულებას უზრუნველყოს არსებული მონაცემების დაცვა შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დადგინდა ასევე, რომ მოსწავლის გამოსახულებით ფოტო/ვიდეო მასალას სკოლა არ



ასაჯაროებს მოსწავლისა და მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმების გარეშე. კონფერენციების პრეზენტაციებში გამოყენებულ და სოციალურ ქსელში განთავსებულ ფოტო/ვიდეო მასალაზე სკოლას შემუშავებული აქვს მშობლების წერილობითი ნებართვის ფორმა, რომელზეც მშობელი პირობების გაცნობის შედეგად ხელის მოწერით ადასტურებს თანხმობას.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.



7. სკოლის შიდა სამართლებრივი აქტებით განისაზღვრება ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმები. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება პერიოდულად აფასებს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დანერგილი მექანიზმების ფუნქციონირებას. მაგალითად, დარაჯების მუშაობა (დაკვირვების რეჟიმში), მათი დახმარება, მორიგეობა სართულებზე, დერეფნებში, ეზოში, კვების ბლოკში და ა.შ. მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე განიხილება უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხები, რომელიც იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასკვნა სკოლის შენობის მდგრადობის შესახებ;
- შენობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დოკუმენტაცია;
- სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმები.
- სკოლის დირექტორის ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პაუსხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის მოსწავლის ადაპტაციის წესის დამტკიცების შესახებ ბრძანება.



- სადამრიგებლო პროგრამები;
- მრჩეველთა საჭოს ოქმი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☒ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოცო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



1. სკოლა განთავსებულია 20858 კვ.მ. ფართობზე (საკადასტრო კოდი 01.14.02.007.012). სკოლას აქვს ოთხსართულიანი შენობა. სკოლის ეზოში დგას საქვაბე, რომელთა საერთო ფართობია 4950 კვ.მ სკოლა შენობას ფლობს უზურფრუქტის ხელშეკრულების საფუძველზე. სკოლაში არის 28 საკლასო ოთახი, ბიბლიოთეკა, რომელიც შედგება სათანადო წიგნადი ფონდისგან. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა საგნის სასწავლო წიგნის თითო ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, დამხმარე სახელმძღვანელოები, პერიოდიკა და ა.შ. სკოლის შენობაში განთავსებულია ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის სამუშაო ოთახები, ექიმის კაბინეტი, სამასწავლებლო, რესურსოთახი, სასადილო, კომპიუტერული ლაბორატორია, მანდატურის ოთახი. სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებისთვის განკუთვნილი ლაბორატორიები- ცალკე ქიმიის, ბიოლოგიისა და ფიზიკის რომელიც აღჭურვილია თვალსაჩინოებით, შენახულია და დაცულია მოსწავლეთა ნამუშევრები, გამოკრულია ლაბორატორიით სარგებლობის წესები. მატერიალური რესურსების მართვა ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების შესაბამისად. სკოლაში ყოველწლიურად ტარდება ინვენტარიზაცია დაწესებულების რესურსების რეგულარული აღრიცხვის, შეფასებისა და განვითარების მიზნით. ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით განსაზღვრავს მოსწავლეთა სავარაუდო ზღვრულ რაოდენობას. სკოლის საკუთრებაში არსებული ფართი (საკლასო ოთახები, სკოლის დერეფანი, სკოლის ეზო, ბიბლიოთეკა, ბუფეტი საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლეებმა შეძლონ საგაკვეთილო პროცესის დროს სხვადასხვა სასწავლო აქტივობებში ჩართვა, ხოლო შესვენებაზე სრულფასოვანი დასვენება. სკოლას ბიუჯეტში გათვალისწინებული აქვს მატერიალური რესურსის შესაძენი თანხები სკოლის ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

2. სკოლაში, ინფრასტრუქტურა და საერთო სარგებლობის სივრცეები ხელმისაწვდომია, როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე მოსწავლეებისათვის. სასწავლო დროის ნებისმიერ მონაკვეთში, როგორც მოსწავლეებს, ამასთანავე მასწავლებლებს, შეუძლიათ ისარგებლონ სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიით, ასევე იმ საკლასო ოთახებით, რომელიც სკოლაში მდებარეობს. პედაგოგები იყენებენ სამასწავლებლოს საკუთარი იდეების, ინიციატივების წარმოდგენისა და რეალიზებისათვის. სასკოლო საზოგადოებას შეუძლია ისარგებლოს ბიბლიოთეკითა და მისი წიგნადი ფონდით, ამასთანავე, სკოლის მატერიალური ბაზითა და ორი გარე სპორტული

მოედნით. სკოლაში მოქმედებს როგორც კომპიუტერული ლაბორატორია, ასევე, ბიბლიოთეკა. დაინტერესებულ პირს უფლება აქვს გამოიყენოს არსებული რესურსი. სკოლაში ასევე მოწყობილია რესურს-ოთახი. სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი და ლაბორატორიით სარგებლობის წესი, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობას არსებულ რესურსებთან.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

3. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „ბიბლიოთეკის დებულება“. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 488 მხატვრულ ლიტერატურა და ასევე სასკოლო სასწავლო გეგმით შერჩეული სახელმძღვანელოები. წიგნები ნაწილობრივ დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით - ბეჭდითა და საინვენტარო ნომრებით სათანადო გვერდზე. ისინი დალაგებულია ანბანურად. სკოლას არა აქვს საინვენტარო ჩანაწერების წიგნი და ელექტრონული კატალოგი. ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და სამუშაო საათები. მკითხველებისთვის შექმნილია ფორმულარები. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას სკოლის მიერ შემუშავებული ბიბლიოთეკის დებულების შესაბამისად. ბიბლიოთეკის ძირითადი ამოცანას წარმოადგენს სკოლაში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, მოსწავლეთა განვითარების ხელშეწყობა. ამ ამოცანებისა და მიზნების მისაღწევად ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს მკითხველთა დაკმაყოფილებას მათთვის საჭირო ლიტერატურითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით, ქმნის სამუშაო გარემოს თანამშრომელთა და მოსწავლეებისათვის. სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობა ხელმისაწვდომი და შეუზღუდავი სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის.

სკოლას მიეცა რჩევა: ბიბლიოთეკარმა უზრუნველყოს საინვენტარო ჩანაწერების წიგნისა და ელექტრონული კატალოგის წარმოება. უზრუნველყოს წიგნების საბიბლიოთეკო წესით დამუშავება.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

4. სკოლა ზრუნავს ინკლუზიური გარემოს ფორმირებით ხელი შეუწყოს არადისკრიმინაციული გარემოს შექმნას, ყველას თანაბარ მონაწილეობას. სკოლის ფოიეში შესასვლელად ეზოდან ასასვლელი ლიფტია და ასევე სკოლის ფოიედან პირველ სართულზე ასასვლელი ლიფტი. სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი, პირველ სართულზეა



ადაპტირებული საპირფარეშო, შშმ პირთათვის სკოლის შემოსასვლელში და პირველ სართულთან დასაკავშირებლად განთავსებულია ლიფტი. თუმცა სკოლის შენობაში სართულებს შორის არ არის პანდუსი, აქედან გამომდინარე, შეუძლებელია შშმ პირის გადაადგილება სართულებზე, სადაც განთავსებულია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები, კომპიუტერული ლაბორატორია და რესურსოთახი. სკოლაში დასაქმებულია სამი სპეციალური მასწავლებელი, მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების საფუძველზე სსსმ პირებს ჰყავთ ასისტენტები. შშმ პირებისთვის ხელმისაწვდომი არ არის ყველა სერვისი.

ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლის შენობაში სართულებს შორის არ იყო პანდუსი, აქედან გამომდინარე, შეუძლებელი იყო შშმ პირის გადაადგილება სართულებზე, სადაც განთავსებულია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები, კომპიუტერული ლაბორატორია და რესურსოთახი. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც განსაზღვრულია, რომ 2026 წლის 1 სექტემბრამდე უზრუნველყოფს აღნიშნული ხარვეზის გამოსწორებას. სკოლამ წერილით მიმართა საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს, შენობის სართულებს შორის შშმ პირთა გადაადგილების უზრუნველსაყოფად.

რეკომენდაცია: სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში(01.09.2026წ) უზრუნველყოს სკოლის შენობის ადაპტირებული გარემოს მოწყობა. ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე იყო შეფასებული, როგორც „არ შეესაბამება“, არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისი.“

5. სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციალ-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლას აქვს ეზო, ბიბლიოთეკა, ფოიე, რეკრეაციული სივრცეები და ორი გარე სპორტული მოედანი, სადაც იმართება სხვადასხვა სახის ღონისძიება. სკოლის ბიბლიოთეკარი ჩართულია სასკოლო ცხოვრებაში. ბიბლიოთეკის სივრცეში ეწყობა პროექტები. დამრიგებლებთან გასაუბრებით და მათ მიერ წარმოდგენილი სადამრიგებლო პროგრამებით, პროექტებით დასტურდება, რომ სკოლა ხელს უწყობს შემოქმედებითი და პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას. სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მოსწავლეებს და სასკოლო საზოგადოებას განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. სკოლის ეზოში მოწყობილია სივრცე, სადაც მოსწავლეებს შეუძლიათ განახორციელონ პროექტები. სკოლა ორგანიზებას უწევს საგანმანათლებლო-შემეცნებით აქტივობებს



სასკოლო საზოგადოებისათვის.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- შენობის შიდა აზომვითი ნახაზი;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნი;
- საინვენტარიზაციო უწყისი.
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☒ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება



3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ არის გამართული. კერძოდ, ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლის შენობაში ნაწილობრივ იყო ინტერნეტი. ეს მასწავლებლებს საშუალებას არ აძლევს სასწავლო პროცესი წარმართონ სრულფასოვნად, ელექტრონული ჟურნალი აწარმოონ დროულად, ხარვეზების გარეშე. სამასწავლებლო აღჭურვილია კომპიუტერებით. კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, რესურსოთახი - აღჭურვილია ტექნიკით. პარალელურად ხელმისაწვდომია პროექტორები, რომლებსაც მასწავლებლები მოიხმარენ ნებისმიერ საკლასო ოთახში. სკოლა სარგებლობს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემით EFLOW და ESCHOOL, რომელსაც იყენებენ როგორც მასწავლებლებთან ან სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან, ასევე მესამე პირებთან ურთიერთობისათვის.



სკოლას აქვს 20 კომპიუტერი, 7პროექტორი , 7 პრინტერი, ყველა პედაგოგი აღჭურვილია ლეპტოპებით, საზიარო სივრცის მოწყობა იგეგმება სკოლის ბიბლიოთეკაში. სკოლის შენობა არ არის სრულად დაფარული ინტერნეტით.ინტერნეტთან წვდომა შესაძლებელია მხოლოდ ადმინისტრაციის, ბუღალტერიის, სამასწავლებლოსა და კომპიუტერულ ლაბორატორიაში. სკოლას აქვს შემუშავებული ციფრული განვითარების გეგმა/გზამკვლევი, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი სკოლაში არსებული საინფორმაციო ტექნოლოგიების განაწილების სივრცეები, გამოყენებისა და პასუხისმგებელი პირების შესახებ, ადგილისა და დროის მითითებით; სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც განსაზღვრულია,რომ სკოლა 2025 წლის 1 სექტემბრამდე უზრუნველყოფს აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრას. მტკიცებულების სახით წარმოადგინა წერილი სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოს მიმართ.

რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გამართვა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში(01.09.2025წ) . ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე იყო შეფასებული, როგორც „არ შეესაბამება“, არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ შეფასდა , როგორც „მეტწილად შესაბამისი.“

2.სკოლაში შემუშავებულია მატერიალური რესურსების სარგებლობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ადმინისტრაციულ და სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე სკოლაში დასაქმებული პირებისათვის. მასწავლებლებს ან მოსწავლეებს, რომელთაც არ აქვთ სახლში შესაბამისი მოწყობილობები, შეუძლიათ სკოლაში არსებული მოწყობილობებით სარგებლობა. კომპიუტერულ ლაბორატორიაში ხშირად ტარდება სხვადასხვა ტიპის შეხვედრები, ონლაინ ჩართვები.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ინვენტარიზაციის დოკუმენტი;
- ბიბლიოთეკის დებულება.
- მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი.
სკოლის ვიზუალური დათვალიერება.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

სკოლას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით შემუშავებული აქვს „საქმისწარმოების წესი,“ რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 04 ივნისის N2-105 ბრძანებით. საქმისწარმოების წესი ადგენს ერთიან მოთხოვნებს დოკუმენტების მიღების, რეგისტრაციისა და მათი შენახვის წესთან დაკავშირებით. სკოლაში იწარმოება ბრძანებების სარეგისტრაციო და შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი. სკოლის ყველა აქტი და ოფიციალური წერილები ფორმდება სატიტულო ფურცელზე, რომელიც შემუშავებულია სკოლის მიერ.სკოლას აქვს სრულყოფილი ელექტრონული ბაზა ზოგადი განათლების

მართვის საინფორმაციო სისტემაში - Eschool. სკოლა კანონით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან ანგარიშების წარდგენას. მასწავლებელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, თუმცა ხელშეკრულება არ არის მასწავლებლის სტატუსის შესაბამისი. განცხადებები მიიღება მხოლოდ უფლებამოსილი პირებისგან.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება იყენებს როგორც სისტემის შიდა (Eflow, eSchool-ის ერთიანი ბაზა), ისე გარე საკომუნიკაციო საშუალებებს (მაგ. Google). eSchool-ს სისტემის მეშვეობით, ხდება ბაზაში მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის ასახვა. სისტემა ასევე ასახავს სკოლის შესახებ ძირითად ინფორმაციას, აგრეთვე სკოლაში დასაქმებული პერსონალის მონაცემებს, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემებსა და საკონტაქტო ინფორმაციებს. eSchool-ის ბაზაში არის ასევე ასახული სამეურვეო საბჭოს წევრების შესახებ ინფორმაცია, საჭიროების შემთხვევაში ბაზაში ხდება სამეურვეო საბჭოს წევრების ცვლილება, ასევე სამტატო განრიგის პროექტის შეთანხმება. ზოგიერთი ინფორმაცია და დოკუმენტი მიიღება აგრეთვე სკოლის ელექტრონულ ფოსტაზე tbilisi102@mes.gov.ge. პირველკლასელთა რეგისტრაცია ხდება ბმულზე registration.emis.ge სკოლას ასევე აქვს საკუთარი მომხმარებლის გვერდი შესყიდვების სისტემაში procurement.gov.ge, სადაც უფლებამოსილი პირის მიერ ხდება შესყიდვების გეგმის და სხვა დოკუმენტაციის რეგისტრაცია. ასევე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება დარეგისტრირებულია eauction.ge-ზე, სადაც სკოლა საჭიროების შემთხვევაში, აცხადებს აუქციონს ფართის იჯარით სარგებლობის გაცემის მიზნით.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

eSchool.emis.ge-ზე სკოლას აქვს საკუთარი პროფილი. საინფორმაციო ბარათში შეყვანილია სხვადასხვა ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საგანმანათლებლო სტატუსი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები. აქვეა განთავსებული მასწავლებლების, მოსწავლეების,

სახელმძღვანელოების ბაზები. სსსმ მოსწავლეების მონაცემები ასახულია და ატვირთულია მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნები და მიმაგრებულია სპეციალური მასწავლებელი. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას ჰყავს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც არის სკოლის საქმისმწარმოებელი. სკოლა ეფექტურად თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ სხვადასხვა უწყებებთან.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

სკოლა დროულად და დაუყოვნებლივ აწვდის ანგარიშებსა თუ მოთხოვნილ ინფორმაციას საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს, თანამშრომლობს მათთან და ამისათვის იყენებს ელექტრონულ საშუალებებს. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე ანგარიშს წარუდგენს საქართველოს პარლამენტს, პრემიერ მინისტრსა და საქართველოს პრეზიდენტს.

გარდა ამისა, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანების დანართი №1-ით დამტკიცებული „საჯარო სკოლის წესდების“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, სკოლის დირექტორს ეკისრება ვალდებულება ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წინაშე წარადგინოს და გააცნოს ანგარიში ფინანსური საქმიანობისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საქმისმწარმოების წესი;
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;



დირექტორის ანგარიში.

- ერთიანი ელექტრონული სისტემა.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

სკოლას აქვს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილი ვებგვერდი. ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ. საზოგადოების ინფორმირებისათვის იყენებს ვებგვერდს, სოციალურ გვერდს, თიშის პლატფორმას, საინფორმაციო დაფას. ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ საჭიროების შემთხვევაში მშობლებთან საკომუნიკაციოდ სკოლა იყენებს მესენჯერსა და სატელეფონო საუბრებს. სკოლის Facebook გვერდზე მუდმივად ზიარდება სასკოლო ცხოვრების წარმატებული მაგალითები: ყველა მოსწავლისა თუ მასწავლებლის წარმატება, აქტივობების ამსახველი ინფორმაცია. მშობლებთან კომუნიკაციის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს მშობლის ინფორმირების წესი (კომუნიკაციის სტრატეგია),

სადაც დეტალურადაა გაწერილი მშობლებთან ურთიერთობის ფორმა და წესი. გარდა ამისა, ინფორმაციის გაზიარება ხდება დამრიგებლების მიერ მშობელთა კრებებზე. სასკოლო სიახლეები, ქვეყნდება სკოლის სოციალურ ქსელში. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

სკოლაში დანიშნულია ინფორმაციის გავრცელების სანდოობაზე პასუხისმგებელი პირი - სკოლის საინფორმაციო მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის გადამოწმებას მისი უტყუარობის და სანდოობის მიზნით. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

სკოლას განსაზღვრული ჰყავს სოციალური ქსელის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი. აღნიშნული პირი უზრუნველყოფს დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაციას. სკოლის საკომუნიკაციო არხებიდან შემოსულ ინფორმაციაზე საჭიროების შემთხვევაში ხდება სათანადო რეაგირება. ხდება ინფორმაციის დამუშავება, გადამოწმება და შესაბამისი რეაგირება. დამუშავებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე ხდება შესაბამისი ღონისძიებათა დაგეგმვა. სკოლაში ძირითადად განცხადებების ფორმით შემოდის უკუკავშირი, თუმცა შეიძლება იყოს დირექციასთან ზეპირი ფორმით გადაცემული უკუკავშირებიც, რასაც სკოლა ითვალისწინებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად კანონმდებლობის დაცვის ფარგლებში.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;



სკოლას განათლების მართვის საინფორმაციო ცენტრის მიერ შექმნილი ვებგვერდი, რომელზეც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. სკოლაში სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ექსპერტების მხრიდან მოხდა სკოლის ვებ- გვერდის შესწავლა და შედეგად დადასტურდა, რომ ვებგვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამების სახელწოდებები, მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის პროცედურები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, შინაგანაწესი, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მშობელთან ურთიერთობის დებულება;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- სკოლის ვებგვერდი.
- გასაუბრება.
- საქმისწარმოების წესი.
- ბიბლიოთეკის დებულება.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;

ფინანსური რესურსი ქმნის საგანმანათლებლო საქმიანობის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების მყარ საფუძველს. სკოლა იღებს სახელმწიფო დაფინანსებას ვაუჩერის, სკოლის ექიმის თანამდებობრივი სარგოს, სსსმ მოსწავლის დაფინანსებას და ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებისაგან, რომლებიც გამოიყენება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად და მიემართება სკოლის განვითარებისკენ, მათ შორის ინფრასტრუქტურის, მასწავლებელთა პროფესიული და მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლებისა და განვითარებისაკენ. სკოლის დირექტორთან და ბუღალტერთან გასაუბრებით,

წარმოდგენილი დოკუმენტებით დგინდება, რომ სკოლას შეუძლია დააფინანსოს სკოლის მოსწავლეთა საჭიროებები და დაგეგმილი ღონისძიებები. სკოლა ფინანსურად მდგრადია.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

სკოლის ბიუჯეტს ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. სკოლის დირექტორი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აბარებს სკოლის სამეურვეო საბჭოს 10 დეკემბრამდე ანგარიშს ფინანსური საქმიანობის შესახებ. მონიტორინგის საშუალებას კი იძლევა სპეციალური ფორმები, რომლებსაც სკოლის ბუღალტერი ადგენს ყოველი თვის ბოლოს. მასში მოცემულია ის შემოსავლები და ხარჯები, რომლებიც სკოლას ჰქონდა კონკრეტულ თვეში. აღნიშნული ფორმა ივსება სკოლის საბანკო ამონაწერიდან. ეს გამორიცხავს ნებისმიერ შეცდომას ან ხარვეზს ფინანსების მიზნობრივად განკარგვისას. სკოლის ადმინისტრაცია მუდმივად აორგანიზებს შეხვედრებს სამეურვეო საბჭოსთან, კათედრის ხელმძღვანელებთან, პედაგოგიური საბჭოსთან, თვითმართვებლობასთან და ტექნიკურ პერსონალთან და თუ რა ესაჭიროებათ სამუშაო გეგმის შესასრულებლად. სკოლის ფინანსური დაგეგმვის პროცესი მოიცავს წლიური სამოქმედო გეგმის, სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის და წლიური ბიუჯეტის შედგენას. სამოქმედო გეგმას სკოლა შეიმუშავებს ყოველის წლის დასაწყისში. შესყიდვების წლიურ გეგმას სკოლა შეიმუშავებს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით ყოველი წლის 20 ნოემბრამდე, წლიურ ბიუჯეტს კი შეიმუშავებს ფინანსური წლის ბოლომდე. შესაბამისად, ფინანსური დაგეგმვის პროცესში სკოლა ახდენს აღნიშნული დოკუმენტების კორელაციას.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საპროგნოზო და ფაქტობრივი ბიუჯეტი;
- წლიური ფინანსური ანგარიშების დოკუმენტი;
- ბრძანება 2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი.

- დირექტორის ანგარიში.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში უზრუნველყოფილია მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა, რომელიც რეგულირდება სკოლის შიდა რეგულაციებით. მაგ. სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, სადაც მოცემულია მოსწავლის წახალისების ფორმები და გამოყენების წესები, აგრეთვე დისციპლინური დევნა, დასაქმებულის გადაცდომა და სახდელები (მუხლი 13) და ა.შ. სკოლას შექმნილი ყავს მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლისა და მისი კანონიერი წარმომადგენლისთვის მოსწავლეთა უფლებების და მოვალეობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. დამტკიცებულია ბავშვის მიმართ განხორციელებული ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციები. ასევე დანიშნულია რეფერირების პროცედურების განხორციელებაზე



პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების დაცვას. სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი, ყავს სამეურვეო საბჭო რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების დაცვის გარანტიას. საჩივრის შემთხვევაში მოსწავლე მიმართავს დამრიგებელს, სკოლის ადმინისტრაციას, დირექტორს, მანდატურს რომელთა მიერ მათი შესაბამისი უფლებებიდან გამომდინარე ახდენენ მყისიერ მოქმედებას. რაც შეეხება ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფას, სკოლას აყვანილი ყავს შესაბამისი პროცედურების დაცვით ექიმი, მოწყობილია კაბინეტი, ექიმი არის კვალიფიციური, მას შეუძლია აღმოუჩინოს პირველადი დახმარება საჭიროებისამებრ.

სსსმ მოსწავლეების უფლებები აგრეთვე დაცულია სკოლაში, სკოლას ყავს კვალიფიციური სპეციალური მასწავლებლები, რომლების თავის მხრივ ატარებენ ღონისძიებებს რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის სრულფასოვან ადაპტაციას და ჩართვას სასწავლო პროცესში.

სკოლას აგრეთვე შემუშავებული აქვს მოსწავლის, პერსონალის, მშობლი სკანონიერი წარმომადგენლის კანონიერ უფლებების დაცვის წესი, სადაც გაწერილია რა უფლება აქვს მოსწავლე (მუხლის #3), აღნიშნული დოკუმენტის მიზანია სასკოლო საზოგადოების წევრების უსაფრთხოებისა და მათი კანონიერი უფლებების დაცვა.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

2. რაც შეეხება ზემოთ აღნიშნულ დოკუმენტებს, სასკოლო რეგულაციებს, თავის მხრივ სრულად ახდენს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას, გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან. შინაგანაწესი გაზიარებული სასკოლო საზოგადოებასთან. უპირველესად ხდება პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოზე განხილვა და აღნიშნულის გაცნობას მასწავლებლების ადასტურებენ ხელმოწერით. რის შემდეგაც დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში, აცნობენ მშობლებს შინაგანაწესის პუნქტებს სადაც მოცემულია ძირითადი მუხლები, რომელიც ეხება მოსწავლეთა უფლებების დაცვას და მათ ვალდებულებებს, წახალისების ფორმებს და სხვას.

გასაუბრების დროს აღნიშნა სკოლის წარმომადგენელმა, რომ 2024 წლის ივნისის თვეში შემუშავებულ იქნა „მოსწავლის, პერსონალის, მშობლი სკანონიერი წარმომადგენლის კანონიერ უფლებების დაცვის წესი“, რომლის გაზიარება მოხდება სასწავლო წლის დასაწყისში, რათა მშობლებს ქონდეს შესაძლებლობა გაეცნონ აღნიშნულ წესში მოცემულ მნიშვნელოვან საკითხებს: ზოგად დებულებას, როგორ ხდება ინფორმირება, რა არის მოსწავლის, მოსწავლის მშობლის /კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებები, სკოლაში დასაქმებული პირის კანონიერი უფლებები და სხვა.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.



3. ახალი მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვისას სკოლასა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს შორის ფორმდება ხელშეკრულება. ხელშეკრულებაში ასახულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, მოსწავლის უფლებები და მოვალეობები, მოსწავლის პერსონალური



მონაცემების დამუშავება და გასვლითი ღონისძიებები, სასწავლო დრო, დასვენების დრო და უქმე დღეები, მხარეთა რეკვიზიტები და სხვა.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სკოლის შინაგანაწესი
- ✓ მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი
- ✓ მშობელსა და სკოლას შორის დასაბუთებული ხელშეკრულების ნიმუში.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მოსწავლეთა ჩარიცხვას, საფეხურის დაძლევას, მობილობას, სტატუსის შეჩერებას და შეწყვეტას ახორციელებს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით განათლების და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის #04/ნ და 2012 წლის 19 სექტემბრის 193 /ნ ბრძანებების შესაბამისად. რაც ასახულია წესში, რომელიც სკოლას განსაზღვრული აქვს „მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და უცხოეთში მიღებული განათლების



აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის წესი“-ში, იგი არის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმებით, დამტკიცებულია სსიპ - ქალაქ თბილისის N102 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 04 ივნისის 2/108 ბრძანებით. წესი მოიცავს სკოლაში პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრას, რეგისტრაციას და მის ეტაპებს, ჩარიცხულ მოსწავლეთა მონაცემების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახვას, მოსწავლის სტატუსის შეჩერებას, სტატუსის აღდგენას და მობილობის წესს, განსახორციელებულ პროცედურებს, კლასიდან კლასში გადაყვანას და სხვა მუხლებს.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს, რომელიც ხორციელდება მშობელთა განცხადებების და ბრძანებების საფუძველზე, არის გამჭვირვალე და კანონის შესაბამისი.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები, პირობები, პროგრამები და სხვა არის სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი, რომელიც შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებულია პედაგოგიურ საბჭოზე. სკოლის საქმიანობის შესახებ ინფორმაციები გამოკრულია სკოლის ფოიეში, გაზიარებულია ვებ გვერდზე, სკოლის სოციალურ გვერდზე, სადაც მშობლებს შეუძლიათ გაეცნონ სიახლეებს, გააკეთონ კომენტარები და გამოხატონ მოსაზრებები. სკოლის თანამშრომლები მოქმედებენ კანონით განსაზღვრულ ფარგლებში, სატელეფონო კომუნიკაციის თუ პირადი შეხვედრებისას, ისინი დაინტერესებულ პირებს აწვდიან სწორ ინფორმაციას პროგრამებისა თუ დამატებითი მომსახურების შესახებ.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლას აქვს აქტიური სოციალური ქსელის გვერდი, ავრცელებს სიახლეებს და მიმდინარე ღონისძიებებს. მშობლებთან ურთიერთობს დამრიგებლების საშუალებით, ინფორმაციის გავცრელების წყარო არის როგორც სკოლის ფოიეში გამოკრული საინფორმაციო დაფა, ასევე სოციალური გვერდი. გაზიარებული ინფორმაციები არის კანონის შესაბამისი, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული. სკოლას აქვს მშობელთა თანხმობა, წერილობითი ნებართვა მოსწავლეების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებაზე, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების და პერსონალური მონაცემების დაცვას.



ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის , მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის წესი“
- სკოლის სოციალური ქსელის facebook-ის გვერდი
- მოსწავლის ჩარიცხვის ბრძანება
- სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)



3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი;
სკოლას აქვს წარმოდგენილი „მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესი“ სადაც გათვალისწინებულია წესის მიზანი, ძირითადი პრინციპები, პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვის შემდეგ განსახორციელებელი აქტივობები, ნებისმიერ კლასში ახლადგადმოსული მოსწავლის ჩარიცხვის შემდეგ განსახორციელებელი აქტივობები. პროცესში აქტიურად არიან ჩართული დამრიგებლები, კათედრის ხელმძღვანელები, დირექტორის მოადგილე, სკოლის ექიმი, სკოლის მანდატური. მასწავლებლები სხვადასხვა აქტივობებით და თამაშებით უზრუნველყოფენ მოსწავლეთა ადაპტაციას, ხოლო სსსმ მოსწავლეთა შემთხვევაში ერთვება სპეციალური მასწავლებელი, ასისტენტი და საჭიროებიდან გამომდინარე მოწვეული ინკლუზიური განათლების სპეციალისტი.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან, ამ მიზნით ეწყობა პირველ კლასში შემომსვლელ მოსწავლეთათვის ღონისძიება მათთვის სკოლის გაცნობა, თითოეული დამრიგებელი უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის სასკოლო გეგმის, დაგეგმილი აქტივობების, შინაგანაწესის, მოსწავლეთა უფლებების და მოვალეობების გაცნობას. აგრეთვე დამრიგებლები აწვდიან ინფორმაციას მოსწავლეებს, რომ მათი ინიციატივები და ინტერესები იქნება მხარდაჭერილი. მათი ინტერესების გათვალისწინებით ეწყობა პროექტები, კლასგარეშე ღონისძიებები, იქმნება კლუბები და წრეები. ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია სკოლაში თავისუფალი სივრცეები, სადაც მათ შეუძლიათ ინოვაციური იდეების, ინიციატივების შესახებ მსჯელობა, გაანალიზება და დაგეგმვა. ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.



3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად; სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა მხარდაჭერის დებულება, რომელშიც იკითხება, რომ მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფი ხელს უწყობს ყველა ბავშვისთვის ხარისხიანი განათლების და პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნას. გაწერილია ჯგუფის ფუნქციები, წევრები, ფსიქო-ემოციური მხარდაჭერის ჯგუფის შეხვედრები და სხვა. უცხოეთიდან გადმოსულ მოსწავლეს სკოლის მხრიდან აქვს ადმინისტრაციული მხარდაჭერა, კანონით დადგენილ ვადებში ხდება მათი სწავლის ფაქტის აღიარება. ადმინისტრაცია ყოველთვის ცდილობს თითოეულ მოსწავლეს შეუქმნას უსაფრთხო, სუფთა, პოზიტიური და რესურსებით მდიდარი გარემო, რაც თვალნათლივ გამოჩნდა სკოლაში ვიზიტის დროს. სკოლას შექმნილი აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესი. სსსმ მოსწავლის ტრანზიციის ხელშეწყობის მიზნით სასწავლო წლის დასრულებამდე სკოლაში დარეგისტრირებული სსსმ მოსწავლისთვის ტარდება მოწვევა სკოლაში და პედაგოგებთან შეხვედრა სასკოლო გარემოს გაცნობის მიზნით.

სკოლაში იგეგმება მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით შესაბამისი ღონისძიებები, პროექტები, კომპლექსური დავალებები და კლასგარეშე თუ სასკოლო ღონისძიებები, რომელთა განხორციელებაშიც მოსწავლეებიც ერთვებიან ხალისით, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას. საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლები ატარებენ დამატებით გაკვეთილებს. სასწავლო წლის მანძილზე მოსწავლეთა ინიციატივით მოეწყო ისეთი პროექტები და ღონისძიებები როგორიცაა მაგ: პროფესიული განათლება (კლასი X) რომელიც ეხებოდა პროფესიის არჩევას, რომელიც პიროვნების თავისუფლად განვითარების ნაწილია, აგრეთვე პროექტი „ტრეფიკინგი“ - რომელიც არის სრულფასოვანი განვითარების შემაფერხებელი ფაქტორი, გაიაზრეს და გაამახვილეს ყურადღება თუ რა საფრთხეს უქმნის ტრეფიკინგი, აქტივობა რომელიც ეხებოდა „არჩევნებს“ მოსწავლეებმა დაამუშავეს საკითხები და წარადგინეს პრეზენტაცია, ისაუბრეს არჩევნების მნიშვნელობასა და მის მახასიათებლებზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია დემოკრატიისთვის და სხვა განხორციელებული ღონისძიებები, რომლებიც რა თქმა უნდა, თავის მხრივ მოქმედებენ მოსწავლეთა განვითარებაზე, ზოგადი განათლების მიღებასა და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაზე.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

4. სკოლისგან მოსწავლე დადგენილ ვადებში იღებს სათანადო ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სკოლის დირექციასთან და წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ისინი დროულად აწვდიან ინფორმაციებს მოსწავლეებს, მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს რათა მათ საკუთარი უფლების დაცვის რეალიზების საშუალება ქონდეთ. ადმინისტრაცია აცნობს



ინფორმაციას სემესტრული თუ წლიური გამოცდების შესახებ, მოსწავლეებს აცნობენ გასაჩივრების წესს, ასევე გაცდენების შესახებ ინფორმაციას. ბავშვები ჩართული არიან მოსწავლეთა თვითმართველობის არჩევნებში. მასწავლებლები ცოდნის გაღრმავების მიზნით მუდმივად უტარებენ კონსულტირებას მათთვის საინტერესო საკითხებზე. მოსწავლეთა მობილობა ხდება კანონით განსაზღვრული წესის მიხედვით, რაც ჩანს eflow-ს და eschool-ის ბაზაში.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. მოსწავლეები სასწავლო ექსკურსიების მარშუტებს ირჩევენ მასწავლებლების მიერ შემოთავაზებული ვარიანტებიდან, არჩევანის გაკეთება როგორც წესი მოსწავლეზე დადებითად მოქმედებს და ზრდის მოტივაციას. სკოლაში ფუნქციონირებს სამოქალაქო განათლების და დებატ-კლუბი, რომლის ფარგლებში განხორციელდა საინტერესო პროექტები მაგ. ბავშვთა უფლებების კონვენცია - 35 წლისაა, ჩატარდა ესეების და ნახატების კონკურსი, პროექტი „გლობალური მოქალაქეობა“, პროექტი „ტრეფიკინგი“ მოეწყო დებატები: თემაზე „გლობალიზაცია“, „ინტერნეტის ზეგავლენა მოზარდებში“, „არჩევნები“ და სხვა რომელთა განხორციელებაში ჩართული იყო კვალიფიციური პედაგოგები და მაქსიმალურად გათვალისწინებული მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

6. სკოლა გამოთქვამს მუდმივ მზადყოფნას მოსწავლეთა/დამატებითი/არაფორმალური აქტივობების მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე გააუმჯობესოს მოსწავლეთა მომსახურება. მაგალითად განხორციელდა მოსწავლეთა თვითმართველობის შეხვედრა სასკოლო საზოგადოების წევრებთან. რომლებმაც გააცნეს მათი ხედვები, მიზნები ინტერესები მაგ. კლუბებთან და წრეებთან დაკავშირებით, ამ ყველაფერს კი დირექცია აუცილებლად ითვალისწინებს ახალი სასწავლო წლის დაგეგმვის დროს.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.



- მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესი
- მოსწავლეთა მხარდაჭერის დებულება
- სკოლის სოციალური ქსელის facebook -ის გვერდი

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის; სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი 2024 წლის 2 აპრილს, პროფესიულ კოლეჯთან „გლდანის საზოგადოებრივი კოლეჯი“, მემორანდუმის საგანია მოსწავლისათვის კარიერული დაგეგმვის და პროფესიულ ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობა ,მოსწავლეებში პროფესიული განათლების პოპულარიზაციის, ცნობიერების ამაღლება , არაფორმალური აქტივობების წახალისება და მხარდაჭერა. მემორანდუმის ფარგლებში წლის ნებისმიერ დროს სკოლას შესაძლებლობა აქვს გაეცნოს სასწავლო პროცესს, კოლეჯის პროგრამებს მოდულურ, ინტეგრირებულ , სასერტიფიკატო პროგრამებს ,განახორციელოს კოლეჯში ვიზიტი ,დაათვალიერონ კოლეჯის სივრცე ,გაეცნობიან ბაზარზე არსებულ ყველაზე მოთხოვნად პროფესიებს,მათ სპეციფიკას.კლასის დამრიგებლების სამუშაო გეგმებში გაწერილია სხვადასხვა პროფესიის გაცნობა,ამ პროფესიების თვალსაჩინო წარმომადგენლების შესახებ ინფორმაციების მოძიება და შესაძლებლობიდან გამომდინარე შეხვედრების მოწყობაც. ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

2. სკოლა შესაძლებლობების ფარგლებში აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; მაგ. მემორანდუმი აქვთ გაფორმებული „ გლდანის საზოგადოებრივ კოლეჯთან“ ,იგეგმება ვიზიტი კოლეჯში ,სადაც მოსწავლეები გაეცნობიან სხვადასხვა პროგრამებს და ექნებათ არჩევანის



საშუალება, გააგრძელონ სწავლა უმაღლეს სასწავლებელში თუ მიიღონ პროფესიული ცოდნა და გამოავლინონ მათი უნარ-ჩვევები შესაბამის, მათთვის საინტერესო სფეროში. ასევე მიმდინარეობს მოლაპარაკება უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან და სხვადასხვა პროფესიის პირებთან, შეხვდნენ საფეხურის მოსწავლეებს, რათა სწორი არჩევანი გააკეთონ მომავალი პროფესიის შერჩევისას. დამრიგებლები სადამრიგებლო საათის ფარგლებში და არა მხოლოდ, აწვდიან განახლებულ ინფორმაციებს მოსწავლეებს, რომელსაც დირექცია აწვდის და აცნობებს დაუყოვნებლივ მასწავლებლებს. აღნიშნული ინფორმაციები ეხება როგორ ეროვნულ და საერთაშორისო კონკურსებს, აგრეთვე კარიერული განვითარების საკითხებს.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს, რომელიც კარგად ჩანს მასწავლებლების პორტფოლიოებში არსებულ რეფლექსიებში, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით დაგეგმილ აქტივობებში. აგრეთვე წლის განმავლობაში ჩატარებულ მშობლეთა კრებების დროს ხდება მშობლებთან გასაუბრება და მათი წინადადებების, ინტერესების გათვალისწინება. წლის ბოლოს სკოლა აპირებს აგრეთვე ჩაატაროს ანონიმიური გამოკითხვა არსებულ ვითარებაზე და მოიპოვოს ინფორმაცია მოსწავლეების, მასწავლებლების და მშობლებისგან რათა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინოს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგები.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სოციალური ქსელის facebook -ის გვერდი
- დამრიგებლის გეგმა
- მემორანდუმები



4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა სსსმ მოსწავლეებთან მუშაობს კანონმდებლობით გათვალისწინებული მექანიზმებით , სასკოლო სასწავლო გეგმაში არის ზოგადი მითითებები სსსმ მოსწავლესთან მუშაობის თვალსაზრისით ,წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურები ,ისგ-ს ჯგუფის მუშაობის პრინციპები, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევისთვის შექმნილია მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნები , ისგ-ს შეხვედრის ოქმები ,მოსწავლეთა რესურს ოთახით სარგებლობის ცხრილი .სკოლას ყავს შიდა მონიტორინგის ჯგუფი რომელიც აფასებს ინკლუზიური განათლების მიმდინარე პროცესებს.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

2. სკოლაში თითოეული სსსმ მოსწავლისთვის შექმნილია ისგ ჯგუფი , რომელიც შედგება სხვადასხვა სპეციალისტებისგან. ისგ-ს შემადგენლობაში შედიან საგნის პედაგოგები,ფსიქოლოგები,სპეც მასწავლებელი,ასისტენტი.ჯგუფი მჭიდროდ თანამშრომლობს ადმინისტრაციასთან და სკოლის დირექციასთან, სსსმ მოსწავლის მშობელთან.ისგ-ს ჯგუფი სემესტრში ორჯერ ხვდება ერთმანეთს და განიხილავს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის სტრატეგიებს და აქტივობებს,პერიოდულად ხდება მშობლებთან შეხვედრები,იღებენ ინფორმაციას მათი შვილების სირთულეებთან თუ წარმატებასთან დაკავშირებით, შესაბამისად ეს ყველაფერი ქმნის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერას, რომელიც ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.



- სასკოლო სასწავლო გეგმა
- რესურსოთახში მუშაობის გრაფიკი
- სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური გეგმის ნიმუში
- ისგ-ს შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი

